

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ზაზა თელია

სტრესის, დეპრესიის, შფოთვის, ძილის დარღვევებისა და კანის ალერგიული დაავადებების ურთიერთგავლენა მოზრდილი ასაკის პირებში (რეტროსპექტული საცდელ-საკონტროლო კვლევა)

დისერტაცია

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად



თბილისი

2023 წელი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაჭავარიანი - მედიცინის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო კონსულტანტი: ალექსანდრე თელია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ექსპერტები: - ლიანა ჟორჯოლიანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

- ნინო ოკრიბელაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

- თინა ქიტუაშვილი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის წინასწარი განხილვა შედგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტისა და საქართველოს ასთმოლოგთა, ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა ასოციაციის გაერთიანებულ სხდომაზე (23 მაისი, 2023 წელი).

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას გამზ. №29).

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის 18 ივლისს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსში, I სართულზე (ვაჟა-ფშაველას გამზ. № 33).

განაცხადი ეთიკის თაობაზე

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩემი დისერტაცია (სტრესის, დეპრესიის, შფოთვის, ძილის დარღვევებისა და კანის ალერგიული დაავადებების ურთიერთგავლენა მოზრდილი ასაკის პირებში (რეტროსპექტული საცდელ-საკონტროლო კვლევა)) ორიგინალურია. ნაშრომში არ არის გამოყენებული სხვა ავტორთა ისეთი მეცნიერული თვალსაზრისი, დებულება, თეორია თუ კვლევის შედეგი, რომელიც მითითებული არ არის დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული ეთიკის ნორმები.

დოქტორანტი:

/ზაზა თელია/

Tbilisi State Medical University

Zaza Telia

**Interaction of stress, depression, anxiety, sleep disorders and allergic skin diseases in adults
(retrospective trial-control study)**

Thesis of Scientific Study for the
Academic Degree of PhD in Medicine



Tbilisi 2023

The Scientific Study is fulfilled at the Department of Allergology and Clinical Immunology of Tbilisi State Medical University

Scientific Supervisor:

- Ketevan Machavariani - MD, PhD, Associate Professor at the Department of Allergology and Clinical Immunology of Tbilisi State Medical University

Scientific consultant:

- Alexander Telia, MD, PhD, Professor at the Department of Allergology and Clinical Immunology of Tbilisi State Medical University

Experts:

- Liana Jorjoliani, MD, PhD, Professor, TSU
- Nino Okribelashvili, MD, PhD, Professor, TSU
- Tina Kituashvili, MD, PhD, Associate Professor, TSU

The Scientific materials are supported by the meeting of the Department of Allergology and Clinical Immunology and the Association of Asthmologists, Allergists, and Immunologists of Georgia (23 May 2023).

The Scientific Study is available at the Tbilisi State Medical University Library (29, Vazha-Pshavela Ave.).

The defense of the thesis will be held on 18 July 2023, in the administrative building of Tbilisi State Medical University, on the 1st floor (Vazha-Pshavela Ave. No. 33).

Application on ethics

I declare with full responsibility that my thesis (Interaction of stress, depression, anxiety, sleep disorders and allergic skin diseases in adults (retrospective trial-control study)) is original. The work does not use the scientific point of view, statement, theory, or research result of other authors, which are not indicated by the established rules, and ethical standards are fully respected when using research methods.

PhD student:

/Zaza Telia/

შინაარსი

სარჩევი	7
შემოკლებათა განმარტება	10
თავი I. შესავალი	13
საკითხის თანამედროვე მდგომარეობა, კვლევის მიზანი, ამოცანები, სამეცნიერო სიახლე, შედეგების თეორიული და პრაქტიკული ღირებულება	13
ატოპიური დერმატიტი და ქრონიკული სპონტანური ურტიკარია	13
1.1 ატოპიური დერმატიტი (AD)	13
1.1.1. ეპიდემიოლოგია	13
1.1.2. კლინიკური ნიშნები (AD)	13
1.1.3. გაუარესების ფაქტორები (AD)	14
1.1.4. პათოგენეზი (AD)	14
1.2 ქრონიკული სპონტანური ურტიკარიის (ქსუ)	16
1.2.1 ეპიდემიოლოგია	16
1.2.2 კლინიკური გამოვლინებები (CSU)	17
ანგიომეშუპება	18
სისტემური სიმპტომები	18
1.2.3 დაავადების მაპროგნოზირებელი ფაქტორები (CSU)	18
1.2.4 CSU - მექანიზმები	19
1.3 კანისა და ნერვული სისტემის ურთიერთქმედება	20
1.3.1 კანი და ნერვული სისტემა ატოპიური დერმატიტის დროს	21
1.3.2 კანი და ნერვული სისტემა სპონტანური ურტიკარიის დროს	22
1.4 შფოთვა და დეპრესია დერმატოლოგიურ პაციენტში	24
1.4.1 დეპრესიული აშლილობების მიმოხილვა და ეპიდემიოლოგია ...	24
1.4.2 შფოთვითი აშლილობები	25
1.4.3 ძილის დაღვევები	26
1.4.3.1 ძილის ხარისხი და ჯანსაღი ძილი	27
1.4.3.2 დარღვეული ძილი	27
თავი II. მთავარი მიზანი და საკვლევი კითხვები	29
2.1 კვლევის მიზანი	29

კვლევა - I	29
კვლევა - II	29
კვლევა - III	29
კვლევა - IV.....	29
თავი III. მასალა და მეთოდები, სტატისტიკური ანალიზი	30
კვლევა - I	30
3.1.1 მასალა და მეთოდები	30
3.1.2 სტატისტიკური ანალიზი	31
კვლევა - II	31
3.2.1 მასალა და მეთოდები	31
3.2.2 სტატისტიკური ანალიზი	32
კვლევა III	32
3.3.1 მასალა და მეთოდები	33
3.3.2 სტატისტიკური ანალიზი	33
კვლევა IV	34
3.4.1 მასალა და მეთოდები	34
3.4.2 სტატისტიკური ანალიზი	35
თავი - IV. კვლევის შედეგები	35
4.1 I კვლევის შედეგი	35
4.2 II კვლევის შედეგი	37
4.3 III კვლევის შედეგი	40
4.4 IV კვლევის შედეგი	43
თავი V. დისკუსია	46
5.1 საწყისი კითხვები და ახალი დასკვნები კონტექსტში	46
5.1.1 პირველი კვლევა	46
5.1.2 მეორე კვლევა	49
5.1.3 მესამე კვლევა (განხილვა)	51

5.1.4 მეოთხე კვლევის განხილვა	53
თავი VI. დასკვნები	54
6.1 დასკვნა - კვლევა I	54
6.2 დასკვნა - კვლევა II	55
6.3 დასკვნა - კვლევა III	56
6.4 დასკვნა - კვლევა IV	56
თავი VII. კვლევის ძლიერი და სუსტი მხარეები	57
თავი VIII. კვლევის პრაქტიკული ღირებულება	58
თავი IX. პრაქტიკული რეკომენდაციები	59
თავი X. გამოყენებული ლიტერატურა	60
თავი XI. დისერტაციის თეზისი (ინგლისურ ენაზე)	75
დანართი 1. კითხვარები	85
დანართი 2. დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები	91

შემოკლებათა განმარტება

- ACE inhibitor - აგფ (ანგიოტენზინ-გადამქმნელი ფერმენტის) ინჰიბიტორი
- ACTH - ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი
- AD - ატოპიური დერმატიტი (ად)
- ADHD (Attention deficit hyperactivity disorder) - ყურადღების დეფიციტის ჰიპერაქტიურობის სინდრომი
- BMI (body mass index) - სხეულის მასის ინდექსი
- CI - სარწმუნოების ინტერვალი
- CIU - ქრონიკული იდიოპათიური ურტიკარია
- CLA (Cutaneous Lymphocyte associated antigen) – კანის ლიმფოციტთან ასოცირებული ანტიგენი
- CLSE - ლოკალური + სისტემური გვერდითი ეფექტები
- CNS - ცენტრალური ნერვული სისტემა
- CRF - კორტიკოტროპინ-განმათავისუფლებელი ფაქტორი
- CSMS - სიმპტომქულები + მედიკამენტქულები
- CSU - ქრონიკული სპონტანური ურტიკარია
- dMS - წამლების დღიურად გამოყენების ქულები
- DHEA - დეჰიდროეპიანდროსტერონი
- DHEA-S - დეჰიდროეპიანდროსტერონის სულფატური წარმოებული
- ES - Effect Size (ეფექტის ზომა)
- FDA - აშშ საკვების და წამლის სააგენტო
- Forest plot - მეტაანალიზური სტატისტიკური ბლობოგრამა
- HDC - ჰისტიდინდეკარბოქსილაზა
- HPA (Hypothalamic-pituitary-adrenal) gland - ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზურ-თირკმელზედა ჯირკვავალი
- HT - ჰიდროქსიტრიპტამინი

IL - ინტერლეიკინი

I² - ჰეტეროგენულობის ინდექსი

IgE - ალერგიული ანტისხეული, E იმუნოგლობულინი

ISI (Insomnia Severity Index) - უძილობის სიმძიმის ინდექსი

LSE - ადგილობრივი გვერდითი ეფექტები

MD - Mean Difference (საშუალო განსხვავება)

MSH - მელანოციტების მასტიმულირებელი ჰორმონი

NGF - ნერვული ზრდის ფაქტორი

NNH - ერთი დადებითი ეფექტის პაციენტ საფასური

NO - აზოტის ოქსიდი

NPY - ნეიროპეპტიდი Y

NT - ნეიროტენზინი

OR (Odds Ratio) - შანსების შეფარდება

PACAP - ჰიპოფიზის ადენილატციკლაზას გამააქტიურებელი პოლიპეპტიდი

PHI - ჰისტიდინის იზოლეიცინის პეპტიდი

PHM - ჰისტიდინის მეთიონინის პეპტიდი

Random-effect - ცვლადების საშუალოთა შედარების მოდელი

RC - შედარებითი ღირებულება

REM - random-effects model (შემთხვევითი ეფექტების მოდელი)

Sample size - საკვლევ სუბიექტთა რაოდენობა

SMD - სტანდარტიზებული საშუალო განსხვავება

SP - სუბსტანცია-P

SS - სიმპოტომქულები

SSE - სისტემური გვერდითი ეფექტები

Th2 - ლიმფოციტები

TSH - thyroid-stimulating hormone (ფარისებრი ჯირკვლის მასტიმულირებელი ჰორმონი)

VAS - ვიზუალურ-ანალოგიური სკალა

VIP - ვაზოაქტიური ნაწლავის პოლიპეპტიდი

WAO - World Allergy Organization (ალერგიის მსოფლიო ორგანიზაცია)

WASO - Wakefulness After Sleep Onset (სიფხიზლე ძილის დაწყების შემდეგ)

თავი I. შესავალი

საკითხის თანამედროვე მდგომარეობა, კვლევის მიზანი, ამოცანები, სამეცნიერო სიახლე, შედეგების თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

ატოპიური დერმატიტი და ქრონიკული სპონტანური ურტიკარია

1.1 ატოპიური დერმატიტი (AD)

1.1.1 ეპიდემიოლოგია

ატოპიური დერმატიტი (AD) ქავილით მიმდინარე, კანის ქრონიკული ანთებითი დაავადებაა, რომელიც ჩვეულებრივ გვხვდება ატოპიური კონსტიტუციის მქონე ადამიანებში, რომლებსაც ასევე ხშირად უვითარდებათ ალერგიული რინიტი და ბრონქული ასთმა. AD გვხვდება როგორც ბავშვთა (15%), ასევე მოზრდილთა (2-3%) ასაკში. AD, როგორც წესი, იწყება ხუთ წლამდე და შეიძლება გაგრძელდეს მოგვიანებით ასაკშიც; ახასიათებს პერიოდული გამწვავებები და რემისიები; უფრო ხშირია ქალებში [1] და ცვალებადობს ასაკის მიხედვით [2]. მისი პრევალენტობა მუდმივად იზრდება, რის გამოც ეს დაავადება განიხილება ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად მთელს მსოფლიოში (აშშ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპა, აფრიკა, იაპონია, ავსტრალია და სხვა ინდუსტრიული ქვეყნები). საინტერესოა, რომ AD ნაკლებადაა გავრცელებული აგრარულ რეგიონებში (ჩინეთი და აღმოსავლეთ ევროპა, აფრიკის სოფლები და ცენტრალური აზია) [3].

1.1.2 კლინიკური ნიშნები (AD)

AD-ის დიაგნოზი შეიძლება დაისვას უილიამსის კრიტერიუმებით [4]. წამყვანი კლინიკური ნიშნებია კანის სიმშრალე, მასზე ნაკაწრების არსებობა და ძლიერი, განსაკუთრებით, ღამის ქავილი. დაავადებას ასევე ახასიათებს ერთეულ პაპულები, ექსკორიაციები და სეროზული ექსუდაციური გამონაჟონი, ლიქენიფიკაცია და კანის

მლიერი სიმშრალე. ადრეულ ასაკში უპირატესად ზიანდება სახის მიდამო და კიდურების გამშლელი ზედაპირები, ხოლო უფრო მოგვიანებით, მოზარდებსა და მოზრდილი ასაკის პირებში - გამონაყარი ძირითადად ლოკალიზებულია კიდურების მომხრელ ზედაპირებზე, პერიორბიტალურად და, ასევე, თავის ქალაზე.

1.1.3 გაუარესების ფაქტორები (AD)

AD შეიძლება გაუარესდეს ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: კლიმატი, გარემო ფაქტორები, მიკრობული აგენტები, სტრესი, დაბალი ტენიანობა, მაღალი ატმოსფერული ტემპერატურა და მშრალი ცივი ამინდი; ასევე - კანზე საპნების, ანტისეპტიკების, ქლორის ზემოქმედებით. ამ დაავადების ტრიგერების ჩამონათვალში განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ბაქტერიულ (სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები) და სოკოვან ინფექციებს (მალასეზია და კანდიდა) [1]. დაბოლოს, AD განსაკუთრებით მწვავედება მეორადი ფსიქიკური ან სოციალური სტრესების და შფოთვის გამო [4, 5], ამასთან ერთად, ამ დაავადების მქონე პაციენტები განსაკუთრებით არიან მიდრეკილი შფოთვის და ფსიქონევროლოგიული აშლილობებისკენ [6, 7].

1.1.4 პათოგენეზი (AD)

უკანასკნელ პერიოდში აღწერილია AD-ის გამომწვევი კანის ბარიერული და იმუნური სისტემების დარღვევები [8, 9]. მათ შორის ისეთები, როგორცაა Th2-ტიპის იმუნური პასუხის პრევალირება, საერთო და სპეციფიკური IgE ანტისხეულების მკვეთრი მატება. დადგინდა ასევე, რომ ამ დაავადების დროს მომატებულია CLA ანტიგენის მაქსპრესირებელი T ლიმფოციტები; ქრონიკული მიმდინარეობის დროს - Th1 ლიმფოციტების ციტოკინების ექსპრესია. ადაპტაციური იმუნური სისტემის ასეთი დისფუნქცია განაპირობებს IgE ანტისხეულების მკვეთრ მატებას და კანის ინფექციების მიმართ მიდრეკილებას [10]; ნატიური იმუნური სისტემის დისფუნქცია [11] კი - პასუხისმგებელია პოლიმორფონუკლეალური უჯრედების (ნეიტროფილები) ქემოტაქსისის შენელებასა და ამრიგად, მიკროორგანიზმების მიმართ კანის ბარიერული ფუნქციის დაქვეითებაზე [12], რასაც ხშირად მოჰყვება კანის მიკრობებით კოლონიზაცია.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტუალურია სტაფილოკოკური ინფექცია, რომელიც ძალზე ხშირად თან ახლავს AD-ს [8]. სახეზეა კანის ლიმფოციტთან ასოცირებული ანტიგენის (CLA) და ანტიმიკრობული პეპტიდების ექსპრესიის დაქვეითება. ქრონიკული მიმდინარეობის დროს პრევალირებს Th1 და Th2 ტიპის ციტოკინის ექსპრესია. ადაპტაციური იმუნური პასუხი ჰიპერაქტიული ხდება და სახეზეა IgE ანტისხეულების მატება, რაც დაკავშირებულია დაავადების სიმძიმესთან და ინფექციურ გართულებებთან. იცვლება ნატიური იმუნური სისტემის ფუნქციონირებაც, მათ შორის, ადგილი აქვს უჯრედების შემცირებულ ქემოტაქსისს, კანში ანტიმიკრობული პეპტიდების შემცირებას და ეპიდერმული ბარიერის დაქვეითებას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს AD-ის დროს კანის მიკროორგანიზმებით კოლონიზაციაში. AD-ის მქონე პაციენტებს აქვთ უნიკალური მიდრეკილება სტაფილოკოკური ინფექციის მიმართ. ეს ბაქტერია AD-ის შემთხვევაში იდენტიფიცირებულია 90%-ში.

AD-ის პათოგენეზი რთულია [8]. ეფექტური მკურნალობის შემუშავებისთვის აუცილებელია კანის ბარიერული დისფუნქციის, ქავილის შეგრძნების, პათოლოგიური იმუნური რეაქციების და სტაფილოკოკური ინფექციის კანზე ზემოქმედების მექანიზმების შესწავლა, რაც საკმაოდ რთულია და ამიტომაც ჯერჯერობით საკამათო.

AD არის უაღრესად რთული გენეტიკური დაავადება, რომელსაც განსაზღვრავს სპეციფიკური ფილაგრინული გენები (FLG), რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს კანის ბარიერული ფუნქციის შენარჩუნებაში. ეს არის პროტეინები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ეპიდერმისის უჯრედებში კერატინის ბოჭკოებს. კანის ბარიერის აღნიშნული დეფექტი განიხილება AD-ის ერთ-ერთ ძირითად პათოფიზიოლოგიურ ანომალიად. უფრო მეტიც, კანის აღნიშნული დისფუნქციური ბარიერი წინ უსწრებს ანთებით პროცესს, ვინაიდან კანი დაუცველი ხდება სხვადასხვა გამლიზიანებელი ფაქტორების, ალერგენებისა და მიკრობების მიმართ.

ცნობილია, რომ ქავილი AD-ის მთავარი სიმპტომია, რომელიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს პაციენტების ცხოვრების ხარისხზე. არასედაციური ანტიჰისტამინების

ნაკლებეფექტურობა მიანიშნებს, რომ AD-ის პათოგენეზში ჰისტამინის გარდა სხვა შუამავლები - ნეიროპეპტიდები და ციტოკინები არიან ჩართული [8].

1.2 ქრონიკული სპონტანური ურტიკარიის (ქსუ)

1.2.1 ეპიდემიოლოგია

CSU რთულად მართვადი ალერგიული დაავადებაა. ის აწუხებს მოსახლეობის 0.5-1%, ახასიათებს ქავილით მიმდინარე ურტიკარიული, დიფუზური გამონყარი და გრძელდება 6 კვირაზე მეტი დროის განმავლობაში. ზოგჯერ ურტიკარიას თან ახლავს ანგიოშეშუპებაც. ამ დაავადების პათოგენეზი და მისი ეფექტური მართვის პრინციპები ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული [13,14]. იმის მიუხედავად, რომ ეს მდგომარეობა ალერგიულ დაავადებად მოიაზრება, მის განვითარებაში ალერგიული IgE ანტისხეულების ბრალეულობა ჯერ კიდევ საკამათოა. ამიტომაც, ბოლო დროს ბევრი ექსპერტის მიერ CSU უფრო მეტად ქრონიკულ ანთებად მოიხსენიება, ვიდრე ალერგიულ მდგომარეობად [15].

CSU არ წარმოადგენს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობას, თუმცა იგი, როგორც წესი, პაციენტის, მისი ახლობლებისა და ექიმის გრძელვადიან დისკომფორტთან არის ასოცირებული [17]. CSU პირველი 5 წლის განმავლობაში რემისიებით მიმდინარეობს (30-55%) და ამ პაციენტთა დიდი ნაწილი მუდმივად მიმართავს ალერგოლოგებს და დერმატოლოგებს ასეთი „მომაბეზრებელი“ და „გაუთავებელი“ სიმპტომატიკის გამო [13, 16]. პაციენტების უმრავლესობა შეზღუდულია ფიზიკურ აქტივობაში და აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები. ისინი ხშირად აცდენენ სამუშაოს, ჩამორჩებიან სასწავლო პროცესს და აქვთ მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები [6], რის გამოც ეს პათოლოგია „ძვირად ღირებულ“ და რთულად კონტროლირებად მდგომარეობად არის მიჩნეული [17, 20].

უკანასკნელი კვლევებით ასევე დადგინდა, რომ CSU მნიშვნელოვნად მოქმედებს ადამიანის ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზე, რასაც თავის მხრივ შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონდეს ამ დაავადების პათოგენეზში [18, 19].

1.2.2 კლინიკური გამოვლინებები (CSU) (UpToDate)

ურტიკარული გამონაყარი ბებერის სახელითაა ცნობილი, მას ახასიათებს 3 ძირითადი თვისება [21]:

- ეს არის კანის ზედაპირიდან ამოზნექილი სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის ელემენტები, რომლებიც გარშემორტყმულია ერითემით;
- ახასიათებს ქავილი;
- გამონაყარი გრძელდება არაუმეტეს 24 საათის განმავლობაში და ქრება ფერის ცვლილების გარეშე.

ურტიკარული ელემენტები სხვადასხვა ფორმისაა (ოვალური, ნამგლისებრი, ხაზოვანი); ვლინდება სხეულის ნებისმიერ უბანზე (განსაკუთრებით, ტანსაცმლით დაფარულ რეგიონებში). ინტენსიური ქავილის შედეგად ხშირად ვითარდება კანის ექსკორიაციები. ქავილი ზოგჯერ იმდენად ინტენსიურია, რომ ადამიანს ხელს უშლის ყოველდღიურ ნორმალურ ფუნქციონირებაში და ურღვევს ძილს. რემისიების პერიოდში პაციენტების უმრავლესობას უჭირს თავისი ჩივილების (განსაკუთრებით კანზე გამონაყარის) ობიექტური აღწერა, რაც ართულებს დიაგნოზის დასმას და, უკეთეს შემთხვევაში, საჭიროებს ექიმისთვის ფოტო მასალის წარმოდგენას. ურტიკარული ელემენტი შეიძლება გადიდდეს და შეიცვალოს ფორმა 24 საათის განმავლობაში. თუ პაციენტს უჭირს გამონაყარის ხანდაზმულობის შეფასება, საჭირო ხდება ახლად წარმოქმნილი ელემენტის მარკირება და ამგვარად მისი ხანგრძლივობის დადგენა. იმ ტიპის გამონაყარის ელემენტები, რომლებიც 24 საათზე მეტი დროის განმავლობაში გრძელდება, ახასიათებს წვის ან ტკივილის შეგრძნება, იცვლის ფერს (ხდება მოლურჯო), ფასდება როგორც ურტიკარული ვასკულიტი.

ანგიოშემუპება

ურტიკარიას შესაძლოა თან ახლდეს ანგიოშემუპება. ეს არის სუბმუკოზური ან კანქვეშა ქსოვილების ეპიზოდური შეშუპება, რომელიც ვრცელდება არასიმეტრიულად, უპირატესად ტუჩებზე, ლოყებზე, პერიორბიტალურად, პერინაზალურად და პერიორალურად, ასევე კიდურებსა და გენიტალიებზე [22]. ის, როგორც წესი, ვითარდება რამდენიმე წუთში ან საათში და ლაგდება 1-3 დღის განმავლობაში (სიმძიმის მიხედვით). დაზიანებულ უბნებზე დამახასიათებელია ტკივილის, დაბუყების, ჩხვლეტის და წვის შეგრძნება. თუ შეშუპება ვლინდება ურტიკარიის გარეშე, ამ დროს შესაძლებელია დაზიანდეს ყელი, ენა და ტუჩები. ასეთი მდგომარეობა ყველაზე ხშირად უკავშირდება წამლის (ACE-ინჰიბიტორის) მიღებას და შეძენილ ან თანდაყოლილ C1q ესთერაზის ინჰიბიტორის დეფიციტს. ამ მდგომარეობის დროს ასევე შეიძლება ადგილი ჰქონდეს მუცლის ტკივილს და კუჭ-ნაწლავის აშლილობას.

სისტემური სიმპტომები

CSU-ის მქონე ზოგიერთ პაციენტს აღენიშნება სისტემური სიმპტომები, როგორცაა თავის ტკივილი, დაღლილობა, სახსრების ტკივილი ან შეშუპება, ხიხინი, სიწითლე, კუჭ-ნაწლავის აშლილობა და „პალპიტაცია“ [23, 24].

ასეთ პაციენტებში დაავადება უფრო მძიმედ და ხანგრძლივად მიმდინარეობს და სისხლში მატულობს ტრიპტაზას კონცენტრაცია იმ პაციენტებთან შედარებით, რომლებსაც სისტემური დარღვევები არ აღენიშნებათ (5.1 vs 3.9 ნგ/მლ, შესაბამისად). ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ურტიკარიისა და შეშუპების ერთდროული გამოვლინების დროს სწრაფად მოხდეს ცხელების და ართრალგიების თანაარსებობის გამოვლენა, რაც ურტიკარიულ ვასკულიტზე მიანიშნებს.

1.2.3 დაავადების მაპროგოცირებელი ფაქტორები (CSU) (UpToDate)

იმის მიუხედავად, რომ არ არის იდენტიფიცირებული CSU-ის გამწვავების განმაპირობებელი ერთადერთი ან რომელიმე წამყვანი ფაქტორი, პაციენტების გარკვეული ქვეჯგუფი განსაკუთრებით რეაგირებს სხვადასხვა ფიზიკურ ფაქტორებზე

(სიცხე, სიცივე, შხაპი, მაღალი ტენიანობა, მჭიდრო ტანსაცმელი, თასმები და ა.შ). იმ შემთხვევაში კი - როდესაც პაციენტი რეაგირებს მხოლოდ აღნიშნულ ფიზიკურ ფაქტორებზე, მაშინ ლაპარაკია ინდუცირებად ჭინჭრის ციებაზე, მაგალითად, როგორცაა ქოლინერგული და დაყოვნებული კომპრესიული ურტიკარია. შედარებით ახალი მონაცემები მეტყველებს, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური სტრესი - ასევე წარმოადგენს ურტიკარიის მაპროვოცირებელ ფაქტორს [25-32]. თუმცადა, რა მექანიზმებით არის ეს გამოწვეული, ჯერჯერობით უცნობია [33]. საკვებისა და ალკოჰოლის კავშირი ურტიკარიასთან ვლინდება მხოლოდ ურტიკარიით დაავადებული პაციენტების გარკვეულ ქვეჯგუფებში.

1.2.4 CSU - მექანიზმები

მიუხედავად იმისა, რომ პოხიერი უჯრედები მონაწილეობს ქრონიკული ჭინჭრის ციების განვითარებაში, ექსპერტები იშვიათად ადასტურებენ ამ მექანიზმის ჩართულობას აღნიშნულ პათოლოგიურ პროცესში. ასეთი კავშირი დასტურდება მხოლოდ 46.7%-ში [34]. იმ პაციენტებშიც კი, რომლებმაც ტესტირებით უდასტურდებთ ალერგენების მიმართ *in vitro/in vivo* სენსიბილიზაცია, საბოლოოდ ვერ ხერხდება ალერგიული გამოვლინების რეპროდუცირება, რის გამოც ამ დაავადების განვითარებაში ალერგიის ბრალეულობა ირიცხება. ამიტომაც, ბევრი ავტორის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ IgE სენსიბილიზაცია უფრო მაღალია ქრონიკული ჭინჭრის ციებით დაავადებულ პაციენტებში, ვიდრე საკონტროლო პოპულაციაში, CSU არ წარმოადგენს IgE ანტისხეულებით განპირობებულ ალერგიულ პათოლოგიას; ისინი ვარაუდობენ, რომ IgE ანტისხეულებით წინასწარი სენსიბილიზაცია ხელს უწყობს ქრონიკული ანთების განვითარებას, რის გამოც იწყება მკვეთრი რეაგირება სხვადასხვა ტრიგერულ ფაქტორებზე.

CSU-ით დაავადებული პაციენტები ძირითადად წარმოადგენენ ორ ქვეჯგუფს:

- ჭეშმარიტად იდიოპათიური ურტიკარიის მქონე;

- წარსულში იდიოპათიური, ამჟამად კი - აუტოიმუნური ურტიკარიის მქონე პაციენტები (40-50%) [35].

ამ უკანასკნელის არსებობა დასტურდება, როდესაც საკუთარი შრატით ჩატარებული კანის სინჯი (აუტოლოგიური სინჯი) დადებითია, რაც მიანიშნებს IgG აუტოანტისხეულების არსებობაზე, რომლებიც მიმართულია IgE რეცეპტორების ან მათი Fc ფრაგმენტების მიმართ [36, 37, 38].

ლიტერატურის მონაცემების მიხედვით სახეზეა აზრთა სხვაობა CSU განვითარების მექანიზმებთან და მის ტრიგერულ ფაქტორებთან დაკავშირებით. ზოგიერთი კლინიცისტი თვლის, რომ CSU-ის ძირითად ტრიგერებს ინფექციები წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ამის დამადასტურებელი ფაქტები ნაკლებად მოიპოვება [39, 40].

გაურკვეველია ასევე ფსიქოლოგიური ტრიგერების როლი ამ დაავადების დროს. პრაქტიკოსი ექიმების დიდი ნაწილი ადასტურებს ამ ფაქტორების გავლენას უკვე არსებული CSU გამწვავებაზე ზოგიერთი ექსპერტისგან განსხვავებით, რომლებიც უარყოფენ ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენას როგორც გამწვავებაზე, ასევე ურტიკარიის ფორმირებაზე. მიუხედავად ამისა, ალერგოლოგების უმრავლესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ ფსიქოლოგიური ფაქტორები მონაწილეობს ქრონიკული სპონტანური ურტიკარიის პათოგენეზში [41, 42, 43].

1.3 კანისა და ნერვული სისტემის ურთიერთქმედება

კვლევებით დადასტურებულია ორმხრივი კონტაქტი ნეიროენდოკრინულ სისტემასა და იმუნურ სისტემას შორის. როგორც ცნობილია, კანი ამ უკანასკნელის შემადგენელია [44, 45]. ეს იმას ნიშნავს, რომ სრულიად რეალურია კანის დაკავშირებულ ცენტრალურ და პერიფერიულ რეგიონებში ნეირომედიატორების, ლიგანდების და ლიგანდ-რეცეპტორების დისფუნქციის არსებობა. სტრესის დროს აქტიურდება ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზურ-თირკმელზედა (HPA) ჯირკვლის რეფლექსი, აქტიურდება

ასევე ავტონომიური ნერვული სისტემა და ნეიროპეპტიდების პროდუქცია. ამ პროცესში მონაწილეობს სხვადასხვა მედიატორები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ნეიროენდოკრინული სისტემის და კანის „ერთიერთობაზე“ [46]. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან შუამავალ მედიატორს 5-ჰიდროქსიტრიპტამინი (5-HT - სეროტონინი) წარმოადგენს.

ადრეული კვლევებით დადასტურებულია, რომ მწვავე სტრესის დროს სისხლში მატულობს სეროტონინის კონცენტრაცია, ხოლო ქრონიკული სტრესის დროს მცირდება, ვინაიდან ამ დროს პლაზმაში მომატებულია კორტიზოლის დონე, რაც იწვევს სეროტონინის შემცირებას [47], სტრესის დროს ტვინის გარკვეულ უბნებში (პრეფრონტალური ქერქი, ჰიპოკამპი და ნუშისებრი სხეული) მიმდინარეობს ცვლილებები. იცვლება ნეირომედიატორების ექსპრესია და ვლინდება სეროტონერგული ცვლილებები. სტრესი ზეგავლენას ახდენს აგრეთვე ენდოკრინულ და იმუნურ სისტემებზე, რომლებიც სავარაუდოდ ასევე ჩართულნი არიან CSU-ის პათოგენეზში [48]. ქრონიკული ანთება განსაკუთრებით ცვლის თავის ტვინის წინა ნაწილის (ცერებრუმის) აქტივობას, რაც თავის მხრივ არეგულირებს ნეიროენდოკრინული და იმუნური სისტემების ფუნქციონირებას [49-52].

1.3.1 კანი და ნერვული სისტემა ატოპური დერმატიტის დროს

ატოპიური დერმატიტის დროს კანის ნეიროფიზიოლოგიასა და ნეირობიოლოგიაში შეინიშნება მრავალი სპეციფიკური ცვლილება. უპირველეს ყოვლისა, იცვლება კანის სენსორული ფუნქციები [47]. თავისუფლდება მრავალი ნეიროტრანსმიტერი და ნეიროჰორმონი (აღწერილია 30 ასეთი ფაქტორი), რომლებიც მონაწილეობს AD-ის პათოფიზიოლოგიაში. ასეთი ფაქტორებია: ჰორმონები, ნეიროპეპტიდები და კლასიკური ნეიროტრანსმიტერები, როგორცაა მონოამინები, აცეტილქოლინი, ადრენო-კორტიკოტროპული ჰორმონი (ACTH), 5-HT, კალციტონინი, გენური პეპტიდი, ანგიოტენზინი, კორტიკოტროპინ-განმათავისუფლებელი ჰორმონი,

ენდორფინები, ენკეფალინები, გალანინი, ჰისტამინი, გასტრინის გამომყოფი ჰორმონი, მელანოციტების მასტიმულირებელი ჰორმონი (MSH), აზოტის ოქსიდი (NO), ნეიროკინინი A და B, ნეიროპეპტიდი Y, ნეიროტენზინი, ჰისტიდინის იზოლეიცინის პეპტიდი (PHI), ჰისტიდინის მეთიონინის პეპტიდი (PHM), პროლაქტინი, პარათირეოიდული ჰორმონი, სომატოსტატინი, ნივთიერება P და ვაზოაქტიური ნაწლავის პოლიპეპტიდი (VIP) [47].

ქავილი AD-ის წამყვანი სიმპტომია. მისი განვითარება უკავშირდება პერიფერიულ და ცენტრალურ ნერვულ სისტემაში შუამავალი მედიატორების გამოთავისუფლებას და აქტიურობას. მის განვითარებაში მნიშვნელობა აქვს ასევე კანის ბარიერული ფუნქციის დარღვევას [48]. იდენტიფიცირებულია რამდენიმე ახალი მედიატორი, რომლებიც, სავარაუდოდ, ასევე რომ მონაწილეობს AD-ით გამოწვეული ქავილის რეფლექსში (ინტერლეიკინი (IL)-31, სერინის პროტეაზები და ნერვული ზრდის ფაქტორი (NGF)). ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ AD-ის დროს ქავილი განპირობებულია პერიფერიული და ცენტრალური მექანიზმებით და სხვადასხვა შუამავალი მედიატორებით [48]. ამრიგად, AD არის დაავადება, რომელიც უარესდება როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული ფსიქოლოგიური სტრესის დროს და მას, როგორც წესი, თან ახლავს ძნელად კონტროლირებადი ქავილი [49, 50].

1.3.2 კანი და ნერვული სისტემა სპონტანური ურტიკარიის დროს

ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენა CSU-ის განვითარებასა და გამწვავებაზე დადასტურებულია კვლევებით. ავტორების აზრით, CSU შეიძლება წარმოიქმნას ნერვულ და იმუნურ სისტემებს შორის ურთიერთქმედების შედეგად [51]. დაავადების სიმპტომების განვითარება გამოწვეულია პოხიერი უჯრედების აქტივაციით, რაც ხორციელდება ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზ-ადრენოკორტიკალური [51], სიმპათიკური და ადრენომედულარული სისტემებისა [52] და კანის ადგილობრივი ნერვული ბოჭკოების და რეცეპტორების დისფუნქციით [53]. სხვა კვლევები ასევე ადასტურებს სტრესის და

CSU-ის ურთიერთკავშირს. ცხოველებზე ჩატარებული კვლევების თანახმად მწვავე ფსიქოლოგიურმა სტრესმა შესაძლოა განაპირობოს პოხიერი უჯრედების დეგრანულაცია, რაც კორტიკოტროპინ-განმათავისუფლებელი ფაქტორის (CRF) რეცეპტორების ექსპრესიასთან არის დაკავშირებული [53]. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სტრესამდე ანტი-CRF-ის გამოყენება თრგუნავს პოხიერი უჯრედების დეგრანულაციას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რეცეპტორები შერჩევით ათავისუფლებს ციტოკინებს და სხვა პროანთებით მედიატორებს, ავტორები ვარაუდობენ, რომ ანტი-CRF-ის მიღებამ სტრესამდე შეიძლება შეაფერხოს პოხიერი უჯრედების აქტივაცია [51].

ადამიანებზე ჩატარებული *in vitro* კვლევებით დადასტურდა, რომ შრატში კორტიზოლის მატებას თან ახლავს ბაზოფილების გააქტიურება, ვინაიდან ეს უჯრედები ავლენენ ჰიპერმგრძობელობას CRF-სა და ადრენოკორტიკოტროპულ ჰორმონზე, რომლებიც ქრონიკული იდიოპათიური ურტიკარიის დროს მკვეთრად არის მომატებული [54].

CSU-ის დროს მნიშვნელოვნად მატულობს კანში არსებული, ჰისტამინის პროდუქციაზე პასუხისმგებელი რეცეპტორების (CRF-R, CRF-R1) და ჰისტიდინდეკარბოქსილაზას ექსპრესია [55]. ნეიროენდოკრინული მექანიზმები ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს ფსიქოლოგიური ფაქტორებით სტიმულირებულ CSU-თან.

CSU-ის მქონე პირებს აღენიშნებათ დეჰიდროეპიანდროსტერონის და მისი სულფატური წარმოებულის (DHEA-S) მნიშვნელოვანი შემცირება. ცნობილია, რომ ნერვული სისტემა არეგულირებს იმუნური სისტემის ჰომეოსტაზს, რომელშიც DHEA-S თამაშობს მნიშვნელოვან როლს, გაურკვეველი რჩება DHEA-S-ის დაბალი კონცენტრაცია წარმოადგენს CSU-ის პირველად თუ მეორად გამშვებ ფაქტორს [52].

პოხიერ უჯრედებსა და კანის ნერვულ ბოჭკოებს შორის პირდაპირი ურთიერთქმედება წარმოადგენს CSU-ის განვითარების კიდევ ერთ სავარაუდო მექანიზმს. ცხოველური მოდელები ცხადყოფს, რომ ნერვული სტიმულაცია (სტრესის მსგავსი) იწვევს ნეიროპეპტიდების (სუბსტანცია-P (SP), ნერვული ზრდის ფაქტორი (NGF), ნეიროტენზინი (NT), ჰიპოფიზის ადენილატციკლაზას გამააქტიურებელი

პოლიპეპტიდი (PACAP) და ვაზოაქტიური ნაწლავის პეპტიდი (VIP)) დიდი როლდენობით სეკრეციას, რასაც შეუძლია პოხიერი უჯრედების აქტივაცია [53].

1.4 შფოთვა და დეპრესია დერმატოლოგიურ პაციენტში

კანი არის ჩვენი უდიდესი ორგანო, რომელიც პირველ რიგში რეაგირებს გარემოსთან. ეს არის ადამიანის უპირველესი „ფარი“, რომელიც მას გარემოს მავნე ფაქტორებისგან იცავს. ფსიქოლოგიურმა სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს იმუნური სისტემის დისრეგულაცია, რაც ამცირებს კანის პროტექტორულ თვისებებს, რასაც მოჰყვება სხვადასხვა პათოგენების ინვაზია ან რეაქტივაცია. მრავალი წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევების მიუხედავად, ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს გაცნობიერებული თუ რა დიდ როლს თამაშობს ჩვენი ფსიქიკა სხვადასხვა სისტემებს შორის ჰარმონიის შენარჩუნებაში. სწორედ ამ საკითხების შესწავლაზე ორიენტირებული ფსიქონეიროიმუნოლოგია, რომელიც სწავლობს თუ რა სერიოზული გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირება ფსიქოლოგიური სტრესის დროს.

1.4.1 დეპრესიული აშლილობების მიმოხილვა და ეპიდემიოლოგია

დეპრესია, შესაძლებლობის შეზღუდვის გამომწვევი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფსიქიატრიული აშლილობაა მსოფლიოში [56]. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დღეს ამ დაავადებით 350 მილიონი ადამიანი არის შეპყრობილი [57]. აშშ-ში დეპრესიის სიხშირე 12% -20%-ს აღწევს [58]. ის ორჯერ უფრო ხშირია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში და ნაკლებადაა გავრცელებულია ხანდაზმულებში ახალგაზრდებთან შედარებით [59]. დადგენილია, რომ დერმატოლოგიური პაციენტების 25-30%-ს აქვს ფსიქიატრიული პრობლემები [60, 61]. მიუხედავად ამ მდგომარეობის ასეთი აქტუალობისა, ის სპეციალისტების უკიდურესად არასაკმარის ყურადღებას იმსახურებს, რის გამოც მისი დიაგნოსტიკა და მკურნალობა, როგორც წესი არარაციონალურია.

დეპრესია ჰეტეროგენული დაავადებების ჯგუფს მიეკუთვნება. მას ახასიათებს ცუდი გუნებაგანწყობის, სევდიანობის, „სიცარიელის“ ან გაღიზიანებულობის განცდა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის სოციალურ და/ან კოგნიტურ ფუნქციაზე. დეპრესიას ახასიათებს ადამიანის განწყობის მკაფიო ცვლილება, ფსიქოფიზიოლოგიური, კოგნიტური და ნეიროვეგეტატიური ცვლილებები (მათ შორის, ძილის, მადის და ენერჯის დონის ცვლილება). განწყობის ცვლილების დადასტურება ხშირად გართულებულია და ვერ აიხსნება ადამიანის ქცევის სპეციფიკით. მიუხედავად იმისა, რომ დეპრესიული მდგომარეობა შეიძლება იყოს ძალიან ცვალებადი, ის ჩვეულებრივ ხასიათდება ეპიზოდური გამოვლინებებით და ქრონიკული მიმდინარეობით. მკურნალობის გარეშე დეპრესიამ შეიძლება გამოიწვიოს ქრონიკული შესაძლებლობის შეზღუდვა ან თვითმკვლელობა.

დეპრესიის განვითარების რისკის ფაქტორებია: დეპრესიით გენეტიკური დატვირთვა, მდედრობითი სქესი, ნევროტიცზმი (პიროვნული თვისება, რომელიც ხასიათდება კონფლიქტის საპასუხოდ უარყოფითი ემოციური მდგომარეობის განცდის მიდრეკილებით), ნეგატიური კოგნიტური მიკერძოება (ფოკუსირება ნეგატიურ მოგონებებსა და აზრებზე), ცხოვრებისეული სტრესული მოვლენები და ბავშვობის არასასურველი მოგონებები [62]. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს დეპრესიის განვითარების ერთი კონკრეტული მექანიზმი, დეპრესია გულისხმობს ნეიროტრანსმიტერების არანორმალურ ფუნქციონირებას და დაკავშირებულია თავის ტვინის სხვადასხვა უბნებში განვითარებულ დისრეგულაციებთან [63]. დეპრესიის თანამედროვე ფარმაკოლოგიური მკურნალობის უმეტესობა მიზნად ისახავს ნეიროტრანსმიტერების დისბალანსის რეგულირებას.

1.4.2 შფოთვითი აშლილობები

შფოთვა და შიში ადამიანისთვის დამახასიათებელი ნორმალური და ადაპტაციური მოვლენაა. შფოთვის დროს სახეზეა მოსალოდნელი (წარმოსახვითი) საფრთხის მიმართ უსიამოვნო განცდა. შიში კი დაკავშირებულია რეალურ საფრთხესთან და ის ასოცირდება ჩვეულებრივ სტრესულ რეაქციასთან. როდესაც ეს

ნორმალური სტრესული რეაქციები ხდება უმართავი, ისინი სიმპტომებად გვევლინება და განიხილება როგორც შფოთვითი აშლილობა - ე. წ. შფოთვით გამწვავებული სამედიცინო მდგომარეობა. შფოთვით აშლილობებს ახასიათებს მუდმივი, გადაჭარბებული და დამლელი შფოთვის და/ან შიშის ქრონიკული განცდა, რომელსაც ხშირად თან ახლავს „ამრიდებლური ქცევები“. შფოთვითი აშლილობები ფსიქიკური ჯანმრთელობის ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა მთელს მსოფლიოში [64], პრევალენტობა 25%-ზე მეტია [65]. შფოთვის განვითარების მაღალი რისკის ჯგუფებს მიეკუთვნებიან პირები, რომელთაც ბავშვობაში გადატანილი აქვთ სტრესები ან ტრავმები, ასევე დაბალი შემოსავლის მქონე ქალები, საშუალო ასაკის ქვრივები, მარტოხელები ან განქორწინებული ინდივიდები [66, 67, 68].

1.4.3 ძილის დაღვევები

ალოსტაზური სტრესის თეორიის მიხედვით [69] (McEwen 1998) სტრესის რეაქცია მოითხოვს აღდგენას, რათა თავიდან იქნას აცილებული სიტუაციის ესკალაცია. ძილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც აღდგენის საბოლოო ფორმა და ორგანიზმზე სტრესის უარყოფითი ზეგავლენის პრევენციის ეფექტური აქტი. ძილი რთული ფიზიოლოგიური პროცესია. ეს არის გარემოსგან „პოზიტიური განრიდების“ მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს ფიზიკური უმოქმედობა, დახუჭული თვალები და აღზნების გაზრდილი ბარიერი. ამტკიცებდნენ, რომ ძილის დროს ტვინის სხვადასხვა ნაწილები წყვეტენ ერთმანეთთან კომუნიკაციას და მცირდება სენსორული აქტივობა [70] (Carskadon and Dement, 1982).

ჰიპოთეზა, რომ ძილი მხოლოდ სხეულისა და ტვინის დასვენებაა, დავიწყებას მიეცა. დადგინდა, რომ ამ დროს რეალურად სახეზეა ტვინის აქტივობის გარდამავალი პერიოდები, ზოგჯერ უფრო მეტიც კი, ვიდრე სიფხიზლის დროს. ჩვენ ცხოვრების დაახლოებით მესამედს ძილში ვატარებთ, ამიტომ, რომ ამ პროცესს მეცნიერები საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში აკვირდებიან და სწავლობენ. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ძილის საიდუმლოებების მხოლოდ რამდენიმე გამოცანას მოეფინა ნათელი (ძილის ცირკადული რიტმი და თვალის სწრაფი მოძრაობის ფენომენი).

მკვლევარები დღესაც ვერ თანხმდებიან, თუ რა არის ძილის მთავარი ფუნქცია. აღდგენითი ფუნქციის თეორია ხაზს უსვამს ცვლილებებს მეტაბოლიზმსა და ზრდაში, მაგალითად, ზრდის ჰორმონის გათავისუფლებას და უჯრედების აღდგენის ხელშეწყობას. სხვა თეორიების თანახმად კი - ძილის დროს ადგილი აქვს ენერჯის კონსერვაციას (თერმორეგულაციის და მეტაბოლიზმის შემცირება). სახეზეა მეტაბოლიტების კლირენსი, ნარჩენების მოცილება, იმუნური სისტემის და კანის ბარიერული ფუნქციის გაძლერება [71] (Xie, Kang et al. 2013), [72] (Bryant, Trinder et al. 2004), [73] (Van Someren 2006).

1.4.3.1 ძილის ხარისხი და ჯანსაღი ძილი

ძილის ხარისხის ობიექტური შეფასება რთულია, რადგან ის მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ასევე რაოდენობრივ ასპექტებს. არ არსებობს რეალური კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს ხარისხიანი ძილი. ცუდი ძილის სუბიექტური შეფასება ჩვეულებრივ ასოცირდება ძილის შეწყვეტის ეპიზოდებთან (ძილის დაბალი ეფექტურობა, მეტი გამოღვიძება და სიფხიზლე ძილის დაწყების შემდეგ (WASO)) [74] (Baglioni, Regen et al. 2014), [75] (Akerstedt, Schwarz et al. 2019), [76] (Saletu 1975). ობიექტურად კი - ძილის ხარისხის მნიშვნელოვანი ასპექტებია როგორც მისი უწყვეტობა, ასევე ხანგრძლივობაც [77] (Akerstedt, Hume et al. 1994), [78] (Akerstedt, Nilsson et al. 2009).

„ჯანსაღი ძილის“ ახალი კონცეფცია [79] (Buysse 2014): ავტორთა აზრით „ჯანსაღი ძილი“ წარმოადგენს „ძილ-სიფხიზლის მრავალგანზომილებიან მოვლენას, რომელიც ადაპტირებულია ინდივიდუალურ და სოციალურ გარემოსგან თავდაცვით მოთხოვნებზე, და ხელს უწყობს ადამიანის ფიზიკური და გონებრივი კეთილდღეობის შენარჩუნებას. „ჯანსაღი ძილი“ განისაზღვრება ადამიანის სუბიექტური კმაყოფილებით, ადეკვატური ხანგრძლივობით, მაღალი ეფექტურობითა და გაღვიძების შემდეგ მდგრადი სიფხიზლით.

1.4.3.2 დარღვეული ძილი

„უძილობა“ (არასაკმარისი ძილი) სულ უფრო ხშირად გვხვდება თანამედროვე საზოგადოებებში მრავალი მიზეზის გამო (სმარტფონები და კომპიუტერები [80] (Do, Shin et al. 2013), ხელოვნური განათების წყაროები, არაადეკვატური სამუშაო საათები და გარემო [81] (Akerstedt, Kecklund et al. 2007), [82] (Ingre, Kecklund და სხვ. 2008), [83] (Kronholm, Partonen et al. 2008).

ამიტომაც, ზოგიერთ ქვეყანაში ძილის დარღვევები მოზრდილი მოსახლების დაახლოებით 25-30%-ს უფიქსირდება. ზოგიერთი მკვლევარი „უძილობას“ გლობალურ ეპიდემიად მიიჩნევს [84] (Bin, Marshall et al. 2012), [85] (Walker 2019) და აღნიშნავს, რომ ეს პრობლემა, გაცილებით უფრო აქტუალური გახდა, ვიდრე უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში [86] (Kronholm, Partonen et al. 2008), [87] (Rowshan Ravan, Bengtsson et al. 2010). რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანებს ახლა ნაკლებად სძინავთ, ვიდრე რამდენიმე ათეული წლის წინ (NCHS 2005) [88] (Ford, Cunningham et al. 2015).

ძილის დარღვევები ასევე მტკიცედ არის დაკავშირებული ჯანმრთელობის რესურსების ჭარბხმარებასთან [89] (Daley, Morin et al. 2009) და ისეთ დაავადებებთან, როგორცაა [90] (Lallukka, Haaramo et al. 2013), დიაბეტი ტიპი-2, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და სხვა [91] (Buysse, Grunstein et al. 2010). უძილობა, მნიშვნელოვნად ზრდის სიმპათიკური ნერვული სისტემის აქტივობას და სისხლძარღვების ენდოთელიუმის დისფუნქციას, რაც თავის მხრივ გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკ ფაქტორს წარმოადგენს [92] (Khan and Aouad 2017). უძილობისას CNS-ის გაზრდილი აქტივობა მნიშვნელოვნად ზრდის ნორადრენალინისა და ადრენალინის გამომუშავებას, იმუნოკომპეტენტური უჯრედების შემცირებას [93] (Irwin 2019) და ანთებითი ბიომარკერების ზრდას [94] (Haack, Sanchez et al. 2007). არასაკმარისმა ძილმა შეიძლება დაარღვიოს გლუკოზის მეტაბოლიზმი [95] (Schmid, Hallschmid et al. 2015) და გავლენა იქონიოს ჰორმონების დონეზე, კერძოდ კი - გაზარდოს კორტიზოლის დონე და შეამციროს ტესტოსტერონის, TSH-ისა და ზრდის ჰორმონის დონე [96] (Briançon-Marjollet, Weiszenstein et al. 2015), [97] (Mullington, Haack et al. 2009). ის უარყოფითად მოქმედებს ადამიანის კოგნიტურ ფუნქციებზე და აქვეითებს აღქმის, ყურადღების კონცენტრაციის და კრეატიულობის უნარებს [98] (Wickens, Hutchins et al. 2015), [99]

(Jackson and Van Dongen 2011), (Killgore 2010) და, ასევე, აუარესებს ადამიანის განწყობასა და ემოციურ მდგომარეობას [100] (Deliens, Gilson et al. 2014). დასწავლის, მეხსიერების და კონსოლიდაციის უნარი აგრეთვე მნიშვნელოვნად უარესდება [101] (Yoo, Hu et al. 2007).

თავი II. მთავარი მიზანი და საკვლევი კითხვები

2.1 კვლევის მიზანი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა CSU-ის და AD-ის კავშირის შესწავლა ისეთ ნეიროფსიქიატრიულ დარღვევებთან, როგორცაა დეპრესია, შფოთვა და უძილობა.

მიზნის განხორციელებისთვის დასახულ იქნა კონკრეტული ამოცანები, რომლებიც აისახა ოთხ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ კვლევაში:

კვლევა -I

სხვადასხვა ასაკის, სქესის და დემოგრაფიული თავისებურებების მქონე CSU-ით დაავადებულ და ჯანმრთელ პირებში შფოთვისა და დეპრესიის გამოვლინების თავისებურებების შესწავლა.

კვლევა -II

სხვადასხვა ასაკის, სქესის და დემოგრაფიული თავისებურებების მქონე ატოპიური დერმატიტით დაავადებულ და ჯანმრთელ პირებში შფოთვისა და დეპრესიის გამოვლინების თავისებურებების შესწავლა.

კვლევა III

დეპრესიისა და შფოთვის, როგორც სავარაუდო პროგნოზული რისკ ფაქტორების მნიშვნელობის შესწავლა ატოპიურ დერმატიტთან და ქრონიკულ სპონტანურ ურტიკარიასთან მიმართებაში.

კვლევა-IV

ძილის დარღვევები ატოპიური დერმატიტისა და ქრონიკული სპონტანური ურტიკარიის დროს და მისი პროგნოზული ღირებულების შესწავლა.

თავი III. მასალა და მეთოდები, სტატისტიკური ანალიზი

კვლევა - I

3.1.1 მასალა და მეთოდები

ქრონიკული სპონტანური ურტიკარიის იდენტიფიცირებისას ვხელმძღვანელობდით ორი ძირითადი პარამეტრით:

- ურტიკარიული გამონაყარი გრძელდება ექვს კვირაზე მეტი დროის განმავლობაში და რამდენჯერმე მეორდება თვეების ან წლების პერიოდში;
- ურტიკარიის დიაგნოზი დადასტურებულია მინიმუმ ოთხჯერ.

საკონტროლო ჯგუფში შევიდნენ შემთხვევით შერჩეული სხვადასხვა ასაკისა და სქესის ინდივიდები (მათ შორის, თსსუ-ის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი), რომლებთაც არასდროს ჰქონიათ ჭინჭრის ციება ან სხვა ალერგიული გამოვლინებები. შფოთვისა და დეპრესიის იდენტიფიცირება ხორციელდებოდა შესაბამისი კითხვარებით (GAD-7 და PHQ-9) [103, 104, 105, 106] ალერგოლოგების, დერმატოლოგების და ზოგადი პრაქტიკის ექიმების მიერ. კვლევა ჩატარდა საცდელ-საკონტროლო პროტოკოლის მიხედვით და მასში შევიდა 18-დან 70 წლამდე ასაკის 690 პირი. საცდელი და საკონტროლო ჯგუფები შედგებოდა შესაბამისად CSU-ის მქონე 330 და 360 ჯანმრთელი პირისგან. CSU-ის მქონე პირთა დემოგრაფიული და კლინიკური მონაცემები (ასაკი, სქესი, თანმხლები დაავადებები (დიაბეტი, სიმსუქნე, ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია) და თამბაქოს მოხმარება) მოპოვებული იყო თსსუ-ის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტემენტის კლინიკების მონაცემთა ბაზიდან.

3.1.2 სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა SPSS და Review Manager 5.4.1 სტატისტიკური პროგრამების უკანასკნელი ვერსიებით ბინიალური ცვლადების გამოყენებით. ისაზღვრებოდა შანსების კოეფიციენტები (ORs) 95%-იანი ნდობის ინტერვალით და სარწმუნოდ ითვლებოდა 0.05-ზე დაბალი ალბათობის p-კოეფიციენტი. ანალიზი ჩატარდა ოთხ ქვეჯგუფში დემოგრაფიული და კლინიკური მახასიათებლების მიხედვით.

კვლევა - II

3.2.1 მასალა და მეთოდები

ატოპიური დერმატიტის მქონე პაციენტების გამოკითხვა ხორციელდებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის კლინიკურ ბაზებზე და, ასევე, სატელეფონო კონტაქტით. გაანალიზდა მათი სამედიცინო ჩანაწერები (2018-2021 წლები), რათა დადგენილიყო ამ პაციენტებში შფოთვისა და დეპრესიის თანაარსებობა. გამოკითხვა განხორციელდა შესაბამისი კითხვარებით (GAD-7 და PHQ-9) [105, 106]. კვლევა ჩატარდა საცდელ-საკონტროლო პროტოკოლით და მასში შევიდა 18-დან 70 წლამდე ასაკის 315 სუბიექტი. „საცდელი“ და „საკონტროლო“ ჯგუფები შესაბამისად შედგებოდა ატოპიური დერმატიტის მქონე 154 და საკონტროლო ჯგუფში შემავალი 161 ჯანმრთელი სუბიექტისგან, რომლებიც შერჩეულნი იყვნენ მარტივი რანდომიზაციის მეთოდით.

საკონტროლო ჯგუფში მოხვდნენ, ასევე, თსსუ-ის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და მათი ოჯახის წევრები.

კვლევადან განითესნენ პირები, რომელთაც ჰქონდათ ასთმა, რინიტი, ჭინჭრის ციება, სეზონური დერმატიტი, ფსორიაზი და კონტაქტური დერმატიტი. კვლევაში ჩართულმა პაციენტებმა ასაკის მიხედვით შეადგინეს სამი ჯგუფი: 18-29 წლის, 30-49 წლის და 50-69 წლის ინდივიდები. AD-ის სიმძიმის კლასიფიკაციის სიძნელის გამო, მისი შეფასება ხორცილედებოდა მკურნალობის დროს გამოყენებული საშუალებების სახეობის და რაოდენობის მიხედვით:

მსუბუქი AD (პაციენტები იყენებდნენ მხოლოდ დამატენიანებელ საშუალებებს და ადგილობრივ თერაპიას - ადგილობრივი კორტიკოსტეროიდების (TCS) მოკლე კურსს და ადგილობრივი კალცინეურინის ინჰიბიტორებს (TCIs)),

ზომიერი AD (პაციენტები, რომლებიც იღებდნენ დამატებით ორალურ ანტიჰისტამინებს) და

მძიმე AD (პაციენტები, რომლებიც იღებდნენ სხვა ორალურ იმუნოსუპრესანტებს).

3.2.2 სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა SPSS და Review Manager 5.4.1 სტატისტიკური პროგრამების უკანასკნელი ვერსიებით ბინიალური ცვლადების გამოყენებით. ისაზღვრებოდა შანსების კოეფიციენტები (ORs) 95%-იანი ნდობის ინტერვალით. სარწმუნოდ ითვლებოდა 0.05-ზე დაბალი ალბათობის p-კოეფიციენტი. ანალიზი ჩატარდა ოთხ ქვეჯგუფში დემოგრაფიული და კლინიკური მახასიათებლების მიხედვით.

კვლევა III

3.3.1 მასალა და მეთოდები

კვლევა ჩატარდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის კლინიკაში. კვლევაში გამოყენებული იყო საცდელ-საკონტროლო პროტოკოლი. საკონტროლო ჯგუფმა (I ჯგუფი) მოიცვა 18-69 წლის ასაკის 160 ჯანმრთელი ინდივიდი (თსსუ მე-5 კურსის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და მათი ახლობლები). საცდელი ჯგუფი კი შედგებოდა ქრონიკული სპონტანური ურტიკარიით დაავადებული 120 (II ჯგუფი) და ატოპიური დერმატიტით დაავადებული 110 პაციენტისგან (III ჯგუფი). საკვლევ სუბიექტებზე დაკვირვება წარმოებდა სამი წლის განმავლობაში (2018-2021). შფოთვის და დეპრესიის იდენტიფიცირება ხორციელდებოდა შესაბამისი კითხვარებით (GAD-7 და PHQ-9), იხ. დანართი N1.

კვლევიდან განთესილი იყვნენ პირები, რომლებსაც ქონდათ ასთმა, რინიტი, სეზონური დერმატიტი, ფსორიაზი, კონტაქტური დერმატიტი, რომლებიც რეგულარულად ლებულობდნენ ანტიჰისტამინებს, ანტიდეპრესანტებს და შფოთვის საწინაარმდეგო მედიკამენტებს. კვლევაში ჩართული პაციენტები ასაკის მიხედვით განაწილდნენ სამ ჯგუფად: 18-29 წლის, 30-49 წლის და 50-69 წლის.

3.3.2 სტატისტიკური ანალიზი

მიზეზ-შედეგობრივი კავშირების და რისკების პროგნოზირების შეფასება განხორციელდა ლოგისტიკური რეგრესიის საშუალებით. გამოყენებული იყო „ლორენცის მრუდი“ და „ჯინის კოეფიციენტი“, რომელთა საშუალებითაც შეფასდა CSU-ის და AD-ის დროს შფოთვისა და დეპრესიის რისკების კონცენტრაცია. მონაცემების სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS 25 IL, Excel-ის და RevMan 5.4. პროგრამებით.

კვლევა IV

3.4.1 მასალა და მეთოდები

კვლევის საწყის ეტაპზე გენერირებულ იქნა ნულოვანი ჰიპოთეზა, რომლის თანახმად: AD და CSU არ არის დაკავშირებული ძილის დარღვევასთან. ჰიპოთეზა ტესტირებული იქნა საცდელ-საკონტროლო კვლევის პროტოკოლით. 18-69 წლის ასაკის ორივე სქესის საკვლევი სუბიექტები (რანდომულად შერჩეული) განაწილდნენ სამ ჯგუფში.

საკონტროლო ჯგუფი შეადგინეს კანის მწვავე და ქრონიკული დაავადებების არმქონე სუბიექტებმა, ხოლო საცდელ ჯგუფში შევიდნენ ატოპიური დერმატიტითა და ქრონიკული სპონტანური ურტიკარიით დაავადებული პირები. ყველა სუბიექტის სამედიცინო ჩანაწერები გულდასმით იქნა განხილული, თავად პაციენტები კი - გამოკითხულნი სტანდარტიზებული კითხვარების საშუალებით მათი ძილის დარღვევების ხასიათისა და სიმძიმის შესაფასებლად.

უძილობის სიმძიმის ინდექსი (ISI) შეფასდა სამი პარამეტრით. ეს სისტემა წარმოადგენს 7-პუნქტიან თვითშეფასების კითხვარს, რომლითაც ფასდება უძილობის მიზეზი, ხასიათი (ჩამინების და ძილის შენარჩუნების პრობლემები, ადრე გაღვიძება, ძილით უკმაყოფილება), სიმძიმე და მისი გავლენა ადამიანის ჩვეულ ფუნქციონირებასა და ცხოვრების წესზე. თითოეული ელემენტი შეფასდა 5-ქულიან ლიკერტის სკალაზე (მაგ., 0 = პრობლემა არ არის; 4 = ძალიან სერიოზული პრობლემა), ქულების მაქსიმალური რაოდენობა 28. ნორმალური ძილი (0 – 7 ქულა); უმნიშვნელო უძილობა (8 – 14 ქულა); ზომიერი უძილობა (15 – 21 ქულა) და ძლიერი უძილობა (22 – 28 ქულა) [102]. ქავილის სიმძიმის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა თვითშეფასების ვიზუალურ-ანალოგიური სკალა (VAS), ქულების რაოდენობით 1-დან 10 ქულამდე (ქავილი არ არის - 1 ქულა, აუტანელი ქავილი - 10 ქულა, კლინიკურად მნიშვნელოვანი ქავილი - 4 ქულაზე მეტი) [103].

3.4.2 სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS და Review Manager 5.4.1 პროგრამების საშუალებით. ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მონაცემები დარდებოდა ბინიალური და რიცხობრივი შედეგობრივი ცვლადებით „Forest plot“-ის გრაფიკული გამოსახულებების საშუალებით. ვინაიდან კვლევა საცდელ-საკონტროლო და რეტროსპექტული იყო, გამოყენებულ იქნა შანსების შეფარდებები (ORs), ხოლო რიცხვითი მნიშვნელობები ერთმანეთს დარდებოდა სტანდარტული საშუალო სხვაობის (SMD) 95% სანდოობის ინტერვალით, 0.05-ზე დაბალი p-მნიშვნელობით მიჩნეული იყო სარწმუნოდ. ანალიზი ჩატარდა 3 ძირითად ჯგუფში, რომლებიც, თავის მხრივ, დანაწილდა ქვეჯგუფებად დემოგრაფიული მონაცემების, უძილობის სიმძიმის და ანტიჰისტამინების გამოყენების მიხედვით.

თავი - IV. კვლევის შედეგები

4.1 I კვლევის შედეგი

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ერთმანეთს შედარდა CSU-ით დაავადებულ და ჯანმრთელ სუბიექტებში შფოთვისა და დეპრესიის გამოვლინების ტენდენციები დემოგრაფიული თავისებურებების მიხედვით.

თავდაპირველად შეფასდა საკვლევი და საკონტროლო ჯგუფების ჰომოგენურობა დემოგრაფიული და კლინიკური პარამეტრების გათვალისწინებით, რამაც დაადასტურა, რომ ეს ჯგუფები არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ასაკის ($M = 47.4$, $SD = 16.7$ და $M = 46.2$ $SD = 17.1$) და სქესის (მამაკაცები - 34% vs. 30%, $OR = 0.80$, 95% CI 0.58 -1.10; ქალები - 65% vs. 70% $OR = 1.25$, 95% CI 0.91-1.72) მიხედვით. ჯგუფებს შორის სხვაობა დაფიქსირდა მხოლოდ ისეთი თანმხლები დაავადებებისა და მდგომარეობების


მიხედვით (74% CSU წინააღმდეგ 19.4% კონტროლი; OR=0.26, 95% CI 0.13-0.52), როგორცაა ფიზიკური ურტიკარია (OR = 0.09, 95% CI 0.05- 0.15), ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია (OR = 0.23, 95% CI 0.12-0.43), დიაბეტი (OR = 0.36, 95% CI 0.14-0.93), სიმსუქნე (OR = 0.47, 95% CI 0.26-0.84) და თამბაქოს მოხმარება (OR = 0.42, 95% CI 0.22-0.79) (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. საკვლევი ჯგუფების დემოგრაფიული და კლინიკური მახასიათებლები

Study or Subgroup	CSU		Control		Odds Ratio (Non-event) M-H, Random, 95% CI	Odds Ratio (Non-event) M-H, Random, 95% CI
	Events	Total	Events	Total		
1.1.1 Demographic factors						
Axiety (CSU vs Control)	330	690	360	690	1.19 [0.96, 1.47]	+
Male	115	330	108	360	0.80 [0.58, 1.10]	+
Female	215	330	252	360	1.25 [0.91, 1.72]	+
1.1.2 Clinical factors						
Physical urticaria	118	330	17	360	0.09 [0.05, 0.15]	+
Thyroid disease	47	330	13	360	0.23 [0.12, 0.43]	+
Diabetes	15	330	6	360	0.36 [0.14, 0.93]	+
Obesity	35	330	19	360	0.47 [0.26, 0.84]	+
Smoking	31	330	15	360	0.42 [0.22, 0.79]	+

ასაკისა და სქესის მიხედვით სტრატეფიცირებულ, CSU-ით დაავადებულ პირებში შფოთვის გამოვლენის შეფარდებითი რისკები წარმოდგენილია ცხრილი 2-ში. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, შფოთვა 1.6-ჯერ უფრო ხშირი იყო CSU-ის, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის სუბიექტებში (24% vs 14%, შესაბამისად; OR = 1.93, 95 % CI 1.31- 2.84).

ცხრილი 2. შფოთვისა და დეპრესიის სიხშირე CSU-ში სტრატეფიცირებული დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით



ქრონიკული სპონტანური ურტიკარიის მქონე მამაკაცებში შფოთვა იყო 1.9-ჯერ და ქალებში 1.4-ჯერ მეტი, ვიდრე საკონტროლო ჯგუფებში, შესაბამისად - 30% vs 16%-ის წინააღმდეგ (OR = 2.19; 95% CI 1.15-4.16) და 21% vs 13%-ის წინააღმდეგ (OR = 1.75; 95% CI 1.07-2.84). ასაკობრივი სტრატეფიკაციის შემდეგ შფოთვის გავრცელების უფრო მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მხოლოდ 50-69 ასაკობრივ ჯგუფში, ვიდრე იმავე ასაკობრივ საკონტროლო ჯგუფში (OR = 0.36, 95% CI 0.18-0.75).

ჭინჭრის ციებით დაავადებული პაციენტები უფრო ხშირად განიცდიდნენ დეპრესიას, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის სუბიექტები (36% vs 9.7%; OR = 5.45, 95% CI 3.60-8.24) და ასეთი ტენდენცია უფრო მეტად შეინიშნებოდა მდედრობით სქესის წარმომადგენლებში (37% vs 19%; OR = 2.46, 95% CI 1.62-3.72); ორივე სქესის პაციენტებში დეპრესია განსაკუთრებით გამოხატული იყო 30-49 წლის ასაკობრივ ჯგუფში (36% vs 17%; OR = 2.73, 95% CI 1.05-7.08).

4.2 II კვლევის შედეგი

კვლევის მიზნიდან გამომდინარე შევისწავლეთ შფოთვისა და დეპრესიის თანაარსებობა ატოპიური დერმატიტით დაავადებულ, სხვადასხვა დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით დაჯგუფებულ პაციენტებსა და ჯანმრთელ პირებში.

კვლევაში მონაწილე სუბიექტების დემოგრაფიული და კლინიკური პარამეტრები წარმოდგენილია ცხრილი 3-ში.

ცხრილი 3. საკვლევი სუბიექტების დემოგრაფიული და კლინიკური მონაცემები

Study or Subgroup	Atopic dermatitis		Control		Odds Ratio (Non-event)	
	Events	Total	Events	Total	M-H, Random, 95% CI	Odds Ratio (Non-event) M-H, Random, 95% CI
1.1.1 Demographic factors						
AD vs Control	154	315	161	315	1.09 [0.80, 1.49]	
Male	70	154	75	161	1.05 [0.67, 1.63]	
Female	84	154	86	161	0.96 [0.61, 1.49]	
1.1.2 Clinical factors						
Asthma	11	154	3	161	0.25 [0.07, 0.90]	
Allergic rhinitis	10	154	2	161	0.18 [0.04, 0.84]	
Urticaria	12	154	4	161	0.30 [0.10, 0.96]	
Seborrheic dermatitis	3	154	2	161	0.63 [0.10, 3.84]	
Psoriasis	1	154	1	161	0.96 [0.06, 15.42]	
Contact dermatitis	2	154	1	161	0.47 [0.04, 5.29]	


კვლევაში ჩართულ პირებს შორის ასაკობრივი და სქესობრივი თვისებურებების მიხედვით სხვაობა არ გამოვლინდა. ატოპიური დერმატიტით დაავადებული პაციენტების საშუალო ასაკმა 44.26 წელი (SD = 14.76), საკონტროლო ჯგუფში კი - 46.38 წელი (SD = 15.91) შეადგინა. საცდელ და საკონტროლო ჯგუფებში, სქესობრივი ნიშნით, სუბიექტების განაწილება შესაბამისად იყო 46,6% (კაცი) და 53,4% (ქალი). საცდელ და საკონტროლო ჯგუფებში განაწილებული პირების საერთო რაოდენობას შორის განსხვავება (OR = 1.09, 95% CI 0.80-1.49), ისევე როგორც გენდერული ნიშნით სხვაობა (OR=1.05, 95% CI 0.67-1.63; OR=0.96, 95% CI 0.61-1.49) - არ დაფიქსირებულა.

საცდელ ჯგუფში, საკონტროლოსთან შედარებით სხვაობა დაფიქსირდა კომორბიდული კლინიკური მდგომარეობების თანაარსებობის თვალსაზრისით, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ საცდელი ჯგუფის პაციენტებს შესაბამისად უფრო ხშირად

აღნიშნებოდათ: ასთმა (OR = 0.25, 95% CI 0.07-0.90), ალერგიული რინიტი (OR = 0.18, 95% CI 0.04-0.84) და ჭინჭრის ციება (OR = 0.30, 95% CI 0.10-0.96). სეზონური დერმატიტის, ფსორიაზისა და კონტაქტური დერმატიტის შემთხვევათა განაწილება ორივე ჯგუფში თანაბარი იყო (იხ. ცხრილი 3).

ატოპიური დერმატიტის (AD) დროს, შფოთვისა და დეპრესიის შანსების თანაფარდობა, ასაკისა და სქესის მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილში 4.

ცხრილი 4. ატოპიური დერმატიტის დროს შფოთვის და დეპრესიის შანსების თანაფარდობა



როგორც ცხრილიდან ჩანს, შფოთვა თითქმის 1.5-ჯერ უფრო ხშირი იყო AD-ის, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში (33.7% vs. 21.7% ან 1.84, 95% CI 1.11–3.03, p<0.001). შფოთვის პრევალენტობა ასევე უფრო მაღალი იყო ქალებში (OR = 2.27, 95% CI 1.02-5.07, p<0.001) და ორ ასაკობრივ ჯგუფში: 30-49 წელი, 50-69 წელი (შესაბამისად, OR = 3.93, 95% CI 1.04–14.90, p<0.001; OR = 3.44, 95% CI 1.04–11.39, p<0.001).

დეპრესიის გამოვლინება ორივე სქესის წარმომადგენლებში ერთნაირი იყო (31.2% vs 39.7%; OR 0.69, 95% CI 0.43–1.09, p<0.001). თუმცადა, ის პრევალირებდა ორივე სქესის ორ ასაკობრივ ჯგუფში - 30-49 წელი (OR = 2.78, 95% CI 1.09-7.06) და 50-69 წელი (OR = 3.99, 95% CI 1.71-9.28).

4.3 III კვლევის შედეგი


კვლევის მიზნის შესაბამისად ჩვენ შევაფასეთ შფოთვის და დეპრესიის, როგორც პროგნოზული (პრედიქტორული) რისკ ფაქტორების მნიშვნელობა AD-ის და CSU-ის განვითარებაში (დამოკიდებული ცვლადები).

ამ მიზნით განხორციელდა ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი, „ლორენცის“ ლოგისტიკური მრუდის და „ჯინის“ კოეფიციენტის საშუალებით (იხ. სურათი 1).

დადგინდა, რომ შფოთვის და დეპრესიის, როგორც რისკ ფაქტორების 50%-იანი კუმულაციური ინტენსივობის (კონცენტრაციის) ნიშნულზე CSU-ისა და AD-ის გამოვლინების ალბათობა შესაბამისად 77% და 66% უდრის. რისკების კონცენტრაციის უფრო მაღალ, 20%-იან ნიშნულზე ამ დაავადებების გამოვლენის ალბათობა შესაბამისად 45 (ჯინი=0,36 - მწვანე ხაზი) და 32 პროცენტამდე (ჯინი=0.23 - ლურჯი ხაზი) ქვეითდება. საკონტროლო ჯგუფში ამ დაავადებების განვითარების რისკი არ აღემატება 29%-ს (ჯინი=0.15 - წითელი ხაზი). ამრიგად, დადგინდა, რომ სახეზეა ამ რისკების კონცენტრაციის პირდაპირპროპორციული კავშირი ატოპიური დერმატიტის და სპონტანური ურტიკარიის პრევალენტობასთან (იხილეთ სურათი 1).

Gini index ანალიზით დადგინდა, რომ ჩვენს მიერ კვლევადი პროგნოზული რისკ ფაქტორების ინტენსივობის განაწილება (შფოთვა და დეპრესია) ჯანმრთელებში, AD-ით და CSU-ით დაავადებულ პირებში შესაბამისად იყო 0.15, 0.23 და 0.36-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ შფოთვა და დეპრესია განსაკუთრებული ინტენსივობით ვლინდებოდა შემდეგი თანმიმდევრობით: მაღალი ინტენსივობით - CSU-ის მქონე (0.36); საშუალო ინტენსივობით - AD-ის მქონე (0.23) და დაბალი ინტენსივობით - ჯანმრთელ პირებში (0.15). შესაბამისად, აღნიშნული რისკ ფაქტორების პროგნოზული ღირებულება განსაკუთრებით გამოიკვეთა CSU -ის დროს.

სურათი 1. ლორენცის მრუდების საშუალებით AD-ის და CSU-ის განვითარების პროგნოზირებადობა რისკ ფაქტორების (დეპრესია და შფოთვა) საფუძველზე.



ლორენცის მეთოდით გამოთვლილი, კუმულაციური რისკების ინტენსივობის განაწილების სტატისტიკური ანალიზი წარმოდგენილია ბლობოგრამაზე (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5. რისკის ინტენსივობის განაწილების სტატისტიკური მნიშვნელობა

Study or Subgroup	CSU		Control		Odds Ratio (Non-event)	Odds Ratio (Non-event)
	Events	Total	Events	Total	M-H, Random, 95% CI	M-H, Random, 95% CI
1.1.1 The concentration of risks at 50% levels of the Lorenz curve						
Risk conc. up 50% CSU vs Control	92	120	64	160	0.20 [0.12, 0.34]	+
Risk conc. up 50% AD vs Control	73	110	64	160	0.34 [0.20, 0.56]	+
Risk conc. up 50% CSU vs AD	92	120	73	110	0.60 [0.34, 1.07]	+
1.1.2 The concentration of risks at 20% levels of the Lorenz curve						
Risk conc. up 20% CSU vs Control	54	120	46	160	0.49 [0.30, 0.81]	+
Risk conc. up 20% AD vs Control	35	110	46	160	0.86 [0.51, 1.47]	+
Risk conc. up 20% CSU vs AD	54	120	35	110	0.57 [0.33, 0.98]	+
1.1.3 The concentration of risk factors at 50% vs 20% levels on the Lorenz curve						
Risk conc. up 50% vs 20% CSU	92	120	54	120	0.25 [0.14, 0.43]	+
Risk conc. Up 50% vs 20% AD	73	110	35	110	0.24 [0.13, 0.42]	+
Risk conc. up 50% vs 20% control	64	160	46	160	0.61 [0.38, 0.96]	+

ბლობოგრამაზე წარმოდგენილ სამ ქვეჯგუფში ერთმანეთს შედარებულია სხვადასხვა ინტენსივობის რისკების პროგნოზული მნიშვნელობები. როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ ქვეჯგუფში შედიოდნენ პაციენტები, რომლებშიც დაავადების გამოვლინების რისკი 50%-ს აღემატებოდა. ამ ქვეჯგუფში მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა CSU-ის (OR=0.20, 95% CI 0.12-0.34) და AD-ის (OR=0.34, 95% CI 0.20-0.56) სასარგებლოდ კონტროლთან შედარებით. მეორე ქვეჯგუფში შედარება მოხდა რისკის 20%-იანი ინტენსივობის დონეზე და ამ შემთხვევაში სარწმუნო განსხვავება დაფიქსირდა CSU-ის სასარგებლოდ როგორც კონტროლთან (OR = 0.49, 95% CI 0.30-0.81), ისე AD-თან (OR = 0.57, 95% CI 0.33-0.98) შედარებით. მესამე ქვეჯგუფში განხორციელდა სხვადასხვა კონცენტრაციის (50% vs 20%) რისკების ერთმანეთთან შედარება, და დადგინდა, რომ 50%-იანი ინტენსივობის რისკის პროგნოზული ღირებულება სამივე - CSU-ის (OR = 0.25, 95% CI 0.14-0.43), AD-ის (OR = 0.24, 95% CI 0.13-0.42) და კონტროლის (OR = 0.61, 95% CI 0.38-0.96) შემთხვევაში სტატისტიკურად სარწმუნო იყო.

4.4 IV კვლევის შედეგი

ამ კვლევით შევისწავლეთ ძილის დარღვევების გავლენა ატოპიურ დერმატიტსა და ქრონიკულ ურტიკარიაზე და, ასევე, მისი, როგორც დამატებითი პროგნოზული ფაქტორის, კლინიკური ღირებულება.

კვლევაში მონაწილეობდა 180 პაციენტი (მამაკაცი 56, ქალი 124), აქედან ატოპიური დერმატიტით (AD) დაავადებული - 74 და ქრონიკული სპონტანური ურტიკარიით (CSU) დაავადებული - 106 პაციენტი; პაციენტები დაიყო ორ ძირითად ჯგუფად: პირველი ჯგუფი (ცხრილი 6) მოიცავდა ორ ქვეჯგუფს, რომლებშიც მონაცემები გაანალიზდა სტანდარტიზებული საშუალოების სხვაობის (SMD) გამოყენებით; მეორე ჯგუფში (ცხრილი 7) შედიოდა 3 ქვეჯგუფი, რომლებშიც მონაცემები ერთმანეთს დარღებოდა ბინიალური (OR-შანსების თანაფარდობა) ცვლადების საშუალებით; კვლევის პროცესში ყველა პაციენტი ავსებდა შესაბამის კითხვარს.

ცხრილი 6. ასაკის, BMI, ISI და ქავილის სიმძიმის შედარება ქვეჯგუფებში

Study or Subgroup	Atopic dermatitis			Chronic urticaria			Std. Mean Difference	Std. Mean Difference IV, Random, 95% CI
	Mean	SD	Total	Mean	SD	Total	IV, Random, 95% CI	
1.1.1 Demographic date								
Age, years,	43	16.4	74	47.2	12.4	106	-0.29 [-0.59, 0.00]	
BMI kg/m2	25.8	3.9	74	26.4	5.3	106	-0.13 [-0.42, 0.17]	
1.1.2 Descriptive characteristics of the insomnia severity								
ISI_clinical	15.2	3.6	74	18.4	3.2	106	-0.95 [-1.26, -0.63]	
Pruritus	5.8	1.6	74	6.5	2.3	106	-0.34 [-0.64, -0.04]	

BMI = Body Mass Index; ISI = The Insomnia Severity Index.

ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში მონაცემების შედარებამ არ აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავება ასაკის, სქესის და სხეულის მასის ინდექსის (BMI) მიხედვით. პაციენტის

ასაკი მერყეობდა 18-დან 77 წლამდე, საშუალოდ 43.0 წელი AD-ით და 47.2 წელი CSU-ით დაავადებულებში (SMD = -0.29, 95% CI 0.59 - 0.00). BMI მერყეობდა 17-დან 42 კგ/მ2-მდე, საშუალოდ 25.8 კგ/მ2 AD-ის და 26.4 კგ/მ2 CSU-ის მქონე პაციენტებში (SMD = -0.13, 95% CI -0.42 - 0.17). უძილობა და მისი სიმძიმე შეფასდა ორივე ძირითად ჯგუფში ბინიარული და უწყვეტი ცვლადებით.

პირველი ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში წარმოდგენილია ატოპიური დერმატიტისა და ქრონიკული სპონტანური ჭინჭრის ციების მქონე პაციენტებში უძილობის სიმძიმის ინდექსის (ISI) და ქავილის სტანდარტული საშუალო სხვაობათა მნიშვნელობები (SMD). ამ მონაცემების მიხედვით როგორც უძილობა, ასევე ქავილი მეტად იყო გამოხატული ატოპიური დერმატიტით დაავადებულ პირებში, ვიდრე სპონტანური ურტიკარიით დაავადებულებში (იხილეთ ცხრილი 6), შესაბამისად (SMD = -0.95, 95% CI -1.26, -0.63), (SMD = -0.34 , 95% CI -0.64, -0.04), რაც თავის მხრივ დაემთხვა ბინიარული ცვლადებით ჩატარებულ კვლევის შედეგებს.

ცხრილი 7. BMI-ის, ქავილის, ISI-ის და ანტიჰისტამინურების გამოყენების შედარება AD-ის და CSU-ის მქონე პაციენტებში

Study or Subgroup	n / N		n / N		Odds Ratio (Non-event)	Odds Ratio (Non-event)
	Events	Total	Events	Total	M-H, Random, 95% CI	M-H, Random, 95% CI
3.1.1 Descriptive characteristics of groups.						
Men (AD vs CSU)	29	74	27	106	0.53 [0.28, 1.01]	
Women (AD vs CSU)	45	74	79	106	1.89 [0.99, 3.57]	
Overweight (AD vs CSU)	29	74	31	106	0.64 [0.34, 1.20]	
Pruritus (AD vs CSU)	71	74	86	106	0.18 [0.05, 0.64]	
3.1.2 ISI (Clinical insomnia)						
ISI_AD vs control	58	74	55	120	0.23 [0.12, 0.45]	
ISI_CSU vs control	79	106	71	120	0.50 [0.28, 0.87]	
ISI_AD vs CSU	58	74	65	106	0.44 [0.22, 0.86]	
3.1.3 Use of antihistamines						
H1A (AD vs control)	65	74	15	120	0.02 [0.01, 0.05]	
H1A (CSU vs control)	56	106	15	120	0.13 [0.07, 0.25]	
H1A (AD vs CSU)	70	74	80	106	0.18 [0.06, 0.53]	

ISI უფრო მაღალი იყო ატოპიური დერმატიტის და ურტიკარიის დროს საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად, OR=0.23, 95% CI 0.12 - 0.45 და OR=0.50, 95% CI 0.28 - 0.87). ამასთან ერთად, უძილობა უფრო მეტად იყო გამოხატული ატოპიური დერმატიტის დროს, ვიდრე ურტიკარიისას (OR=0.44, 95% CI 0.22 - 0.86), იხილეთ ცხრილი 7.

ვინაიდან AD და CSU-ის მქონე პაციენტები ყველაზე ხშირად იყენებენ ანტიჰისტამინებს, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ძილის დარღვევის სიმძიმის შეფასებას, გავანალიზეთ ამ პრეპარატების გამოყენება ჩვენს საკვლევ პაციენტებში. ანალიზმა დაადასტურა, რომ ატოპიური დერმატიტის AD (OR=0.02, 95% CI 0.01, 0.05) და ქრონიკული ჭინჭრის ციების CSU (OR=0.13, 95% CI 0.07, 0.25) მქონე პირები ამ პრეპარატებს უფრო ხშირად იყენებდნენ, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში განაწილებული პირები. ორი დაავადების ერთმანეთთან შედარებისას კი დაფიქსირდა, რომ ანტიჰისტამინები უფრო ხშირად ატოპიური დერმატიტის დროს გამოიყენება, ვიდრე სპონტანური ურტიკარიის დროს (OR=0.18, 95% CI 0.06, 0.53), იხილეთ ცხრილი 7.

თავი V. დისკუსია

დისერტაციაში შესწავლილია ქავილით მიმდინარე კანის ალერგიული დაავადებებისა (ატოპიური დერმატიტი (AD) და ქრონიკული სპონტანური ურტიკარია CSU)) და ნეიროფსიქოლოგიური გამოვლინებების (დეპრესია, შფოთვა და უძილობა) ურთიერთკავშირი.

5.1 საწყისი კითხვები და ახალი დასკვნები კონტექსტში

ნაშრომი მოტივირებულია კლინიცისტებისა და პაციენტების მრავალი დაკვირვებით, რომ კანის ქავილით მიმდინარე სხვადასხვა ალერგიული დაავადებები (AD და CSU) შეიძლება დაკავშირებული იყოს ნეიროფსიქიატრიულ გამოვლინებებთან [108, 109]. კვლევაში დასმული იყო 5 ძირითადი კითხვა:

- კონკრეტულად რა ტიპის კავშირები შეიძლება არსებობდეს ამ მდგომარეობებს შორის?
- რა ფსიქოპათოლოგიური მექანიზმებით შეიძლება აიხსნას ასეთი დაკვირვებები?
- როგორი რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლებით არის წარმოდგენილი თითოეული ეს ნეიროფსიქოლოგიური გამოვლინება AD-ის, CSU-ის და ამ დაავადებების არმქონე სხვადასხვა სქესის და ასაკის პოპულაციაში?
- შეიძლება თუ არა ეს ნეიროფსიქოლოგიური გამოვლინებები განხილულ იქნას AD-ისა და CSU-ის რისკ ფაქტორებად?
- რა პროგნოზული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ მათ ამ დაავადებების დიაგნოსტიკისა და პრევენციის თვალსაზრისით?

5.1.1 პირველი კვლევა

ჩვენი პირველი კვლევის შედეგებმა დაადასტურა სხვა ავტორების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შფოთვა და დეპრესია მაღალი პრევალენტობით არის წარმოდგენილი CSU-ის მქონე პაციენტებში (შფოთვა (24.5%), დეპრესია (36.9%)) [109] და, რომ ამ ემოციურ დისტრესებს დამოუკიდებელი გავლენა აქვს ამ დაავადებაზე [110]. დადგინდა ასევე, რომ ეს ორივე მდგომარეობა ერთნაირად ხშირად ვლინდება ორივე სქესის პირებში საკონტროლო ჯგუფთან მიმართებაში. ასაკობრივი ჯგუფების ანალიზმა გამოავლინა, რომ CSU-ის დროს შფოთვა უფრო ხშირია 50-69, ხოლო დეპრესია - 30-49 წლის პირებში, რაც არ დაემთხვა სხვა ავტორების კვლევების შედეგებს, სადაც CSU-ის დროს შფოთვა უფრო ხშირად 18-29 და 30-49 წლის ასაკში, ხოლო დეპრესია - 50-69 წლის ასაკში გამოვლინდა [109]. ამასთან ერთად, ჩვენ დავადასტურეთ წინა კვლევები, რომლებიც მიგვანიშნებენ, რომ CSU-ით შეპყრობილ პირებს უფრო ხშირად აღენიშნებათ შფოთვა და დეპრესია ისეთი კომორბიდული დაავადებების თანაარსებობის დროს, როგორცაა: ინდუცირებადი ურტიკარია, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები, დიაბეტი და, ასევე, აქვთ ჭარბი წონა და ეწევიან თამბაქოს [109].

მრავალი კვლევის თანახმად ნეგატიური ემოციური ფაქტორები მნიშვნელოვნად მოქმედებენ დერმატოლოგიურ გამოვლინებებზე, მათ შორის ჭინჭრის ციებაზე [111, 112]. კავშირი, ერთის მხრივ, ქრონიკულ ჭინჭრის ციებასა და, მეორე მხრივ, შფოთვისა და დეპრესიას შორის ჯერ კიდევ არასაკმარისად არის შესწავლილი [113]. ზოგიერთი ავტორი ვარაუდობს, რომ ჭინჭრის ციება ჭარბობს აუტოიმუნური დაავადებების მქონე ზრდასრულ ქალებში [114] და, რომ ის ხშირად ასოცირდება შფოთვისა და დეპრესიასთან (უპირატესად, 50-69 ასაკობრივ ჯგუფში [115]). ეს პოსტულატები ნაწილობრივ ადასტურებს ჩვენი კვლევების შედეგებს ორივე სქესის პაციენტებში შფოთვის გამოვლინების შესახებ. ავტორთა უმრავლესობა დეპრესიასა და შფოთვისასაკობრივ ფაქტორსაც უკავშირებს და თვლის, რომ აღნიშნული ემოციური აშლილობები დაკავშირებულია ასაკთან ასოცირებული მარტოობის, სოციალური გარიყულობისა და იზოლაციის განცდებთან (ხანდაზმულებში). ამავე დროს, ავტორები თანხმდებიან, რომ ასეთივე განცდები საკმაოდ ხშირია ჯანმრთელ პოპულაციაშიც, რაც თავის მხრივ

ართულებს ამ ორი ფენომენის ურთიერთკავშირის შესწავლას სხვადასხვა დაავადებების დროს [116, 117, 118, 119].

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ჭინჭრის ციება წინ უსწრებს აუტოიმუნური დაავადებების დაწყებას, განსაკუთრებით, ზრდასრულ ქალებში [120] და რომ ეს ტენდენცია ასოცირდება ასაკობრივ ფაქტორთან. მათი აზრით CSU ახალგაზრდებში უფრო ხშირად შფოთვასთან თანაარსებობს, ხოლო ხანდაზმულებში - დეპრესიასთან. ჩვენმა კვლევამ არ დაადასტურა ასეთი მკაფიო კავშირის არსებობა; შესაძლოა სხვა დამატებითი კოფაქტორების (რომლებიც ასევე იწვევენ შფოთვასა და დეპრესიას) განხილვაც. ასე მაგალითად: ახალგაზრდები უფრო მგრძობიარენი არიან დერმატოლოგიური პრობლემების მიმართ, ვიდრე მოხუცები; ხოლო ხანდაზმულებში ეს მდგომარეობა უკავშირდება ბევრ უცნობ ფაქტორს (ეთნიკური, სოციალური, რელიგიური, გეოგრაფიული და ა.შ.) [121].

მეტად მნიშვნელოვანია ასევე კვლევების ჩატარების მეთოდოლოგიური საკითხების განხილვაც. პაციენტების შერჩევის, განთესვის, განაწილების, პირველადი და მეორადი შედეგობრივი ცვლადების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სტატისტიკური დამუშავების მეთოდების სწორი გამოყენება. სამწუხაროდ, ამ მხრივ კვლევების უმრავლესობაში შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები. ასე მაგალითად: რიცხვითი და ბინიალური ცვლადების ოპტიმალური გამოყენება, რაზედაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მიღებული შედეგები; ე.წ. “P-ჰაკინგის“ ფენომენი, რომელიც შეინიშნება მრავალ კვლევაში და რომელიც ხასიათდება I ტიპის ცრუ დადებითი შეცდომების მაღალი ნიშნულით [122].

წარმოდგენილ კვლევაში მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ხარვეზები, რის გამოც შესაძლოა მიღებული შედეგები ნაკლებად თანხვედრადია სხვა კვლევებთან. ვინაიდან კვლევა თავისი შინაარსით ობსერვაციული, საცდელ-საკონტროლო და, რაც მთავარია, რეპლიკაციურია, ის სავარაუდოდ შეავსებს ამ ტიპის კვლევების არსებულ დეფიციტს, რის გარეშეც, როგორც ცნობილია, შეუძლებელია ყველაზე მაღალი მტკიცებულების მქონე კვლევების (სისტემური მიმოხილვითი მეტა-ანალიზი) განხორციელება [123]. ამრიგად, კვლევა ადასტურებს, რომ თანმხლები

ფსიქიატრიული გამოვლინებები საკმაოდ ხშირია ქავილით მიმდინარე კანის ალერგიული დაავადებების დროს და, რომ ამის გათვალისწინება აუცილებელია ამ მდგომარეობების მკურნალობისას [124, 125].

გამოიკვეთა ასევე გარკვეული ფაქტორები, რომლებმაც სავარაუდოდ იმოქმედა კვლევის შედეგებსა და მათი სარწმუნოების ხარისხზე. უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია კვლევის პროტოკოლზე („საცდელ-საკონტროლო“ case-control), რომელიც მეორე ადგილზეა ობსერვაციული კვლევების იერარქიაში (კოჰორტული კვლევების შემდეგ). გასათვალისწინებელია, რომ ის რეტროსპექტული კვლევაა და ამრიგად აქვს გარკვეული ხარვეზები მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის დროს. ხარვეზად მოიაზრება ასევე, ისიც, რომ კვლევა შემოიფარგლა სამედიცინო ისტორიების და კითხვარების შეფასებით, რის გამოც საკვლევ ჯგუფებში სუბიექტების შერჩევის, განთესვის და შედეგობრივი ცვლადების სელექცია ასევე გარკვეულ პრობლემებთან ასოცირდებოდა.

5.1.2 მეორე კვლევა

შფოთვისა და დეპრესიის კავშირი ატოპიურ დერმატიტთან შესწავლილი იყო რამდენიმე წინამდებარე კვლევით და მათი შედეგები ურთიერთგამომრიცხავი აღმოჩნდა. კერძოდ, ზოგმა ავტორმა დაადასტურა, რომ AD-ით დაავადებულ პირებსა და ჯანმრთელებში შფოთვის გამოვლინება ერთნაირია [126, 127] და, ასევე, არ ვლინდება კორელაცია AD-ის სიმძიმესა და შფოთვის შორის [128]. სხვა მკვლევარების აზრით ასეთი ტენდენცია რეალურად არსებობს AD-ის სასარგებლოდ [129, 130]. ბოლო დროის პოპულაციურმა კვლევამ აჩვენა, რომ ზომიერი და მძიმე AD მნიშვნელოვნად ასოცირდება შფოთვის საწინააღმდეგო და ანტიდეპრესანტების გამოყენების გაზრდილ ალბათობასთან და, მაშასადამე, ეს ფენომენი აქტუალურია AD-ის დროს [131].

შფოთვა და დეპრესია ძირითადი დარღვევებია, რომლებიც დაკავშირებულია კანის ქრონიკულ დაავადებებთან. ეს მდგომარეობები მნიშვნელოვნად მონაწილეობს

ფსიქოლოგიურ დარღვევებში და ხშირად თანაარსებობს სხვა ატოპიური დაავადებების (ალერგიული რინიტი, ასთმა) დროს.

ჩვენი მეორე კვლევით დადასტურდა AD-ის და აღნიშნული ფსიქიკური დარღვევების (დეპრესია და შფოთვა) კავშირი, რომელიც მეტად გამოიხატა 30-69 ასაკობრივ ჯგუფში. ამ პაციენტებს დაუდასტურდათ ასევე სხვა თანაარსებული დაავადებები - ბრონქული ასთმა, ალერგიული რინიტი და ჭინჭრის ციება.

სხვა მკვლევარების მიერ ასეთი ტენდენციის არსებობა ვერ დადასტურდა, სავარაუდოდ, საკვლევ ჯგუფებში სათანადო რაოდენობის ინდივიდების ნაკლებობის გამო. ავტორთა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ დერმატოლოგიურ პაციენტებში დეპრესიული სიმპტომები ასოცირდება მათ ვიზუალურ კოსმეტიკურ პრობლემებთან [132, 133] და ასევე, ქავილით მიმდინარე კანის სხვა დაავადებების (ფსორიაზი და ქრონიკული იდიოპათიური ჭინჭრის ციება) არსებობასთან [134].

ფსიქიკური დაავადებისა და AD-ის საფუძვლიანი მექანიზმები უცნობია. ერთ-ერთი თეორიის თანახმად შფოთვა და დეპრესია მრავალი ქრონიკული, მათ შორის, კანის ქრონიკული დაავადების - AD-ის შედეგი შეიძლება იყოს. ბლექმენმის და თანაავტორების მიერ დადასტურდა ეს ჰიპოთეზა [135] და მათ გამოავლინეს კანის ქრონიკული დაავადების, როგორც რისკ ფაქტორების კავშირი ბავშვების ემოციურ და ქცევით დარღვევებთან. ფსიქიკურ დაავადებასა და AD-ს შორის კავშირი შეიძლება აიხსნას AD-ის პათოგენეზში პროანთებითი ციტოკინების კონცენტრაციის მატებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია, შფოთვა და აუტიზმი [135, 136]. შმიტის მიერ [137] დადასტურდა, რომ ატოპიური ალერგიული რეაქციების დროს ამ მედიატორების ჭარბმა გამოთავისუფლებამ შეიძლება განაპირობოს თავის ტვინში უფრო სერიოზული დარღვევები.

იდენტიფიცირებულია რამდენიმე ექვმიტანილი გენი, რომლებიც იმუნური სისტემის ფუნქციონირებაში მონაწილე მნიშვნელოვანი პროტეინების სინთეზს კოდირებს და მონაწილეობს Th1/Th2 უჯრედების დიფერენციაციის რეგულირებასა და ეფექტურ ფუნქციონირებაში ალერგიული ატოპიური დაავადებების დროს [135]. ერთ-ერთ მათგანს მიეკუთვნება ტრანსკრიპციის აქტივატორი 6 (STAT6), რომელიც

არეგულირებს Th2 დამოკიდებულ იმუნურ პასუხს და ასოცირებულია ატოპიურ დაავადებებთან [135, 137].

აღნიშნული ფაქტორი (STAT6) ჭარბადაა წარმოდგენილი ცენტრალურ ნერვულ სისტემაში და ითვლება, რომ ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ყურადღების დეფიციტის / ჰიპერაქტიურობის სინდრომის (ADHD) განვითარების პათოგენეზში [139]. ტყუპებზე ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ატოპიური დაავადებების და ქცევითი დარღვევების ურთიერთკავშირი დეტერმინირებულია გენეტიკური ფაქტორებით [138].

5.1.3 მესამე კვლევა (განხილვა)

ექსპერტთა აზრით რისკის პროგნოზირების სიზუსტე დამოკიდებულია რისკის კონცენტრაციაზე, ვინაიდან ის ასახავს დაავადების ალბათობას მის მიმართ მიდრეკილი პოპულაციის იდეალურად მცირე ქვეჯგუფში. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით ავტორთა ჯგუფების მიერ [140, 141, 142] შემოთავაზებული იყო პროგნოზირების გრაფიკული მეთოდები, რომელთაგან ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მეთოდად ითვლება ლორენცის მრუდით შეფასება [143]. სწორედ ამიტომ, ჩვენს მიერ აღნიშნულ კვლევაში გამოყენებულ იქნა ლორენცის მეთოდოლოგია, რომელიც პაციენტების დაავადებებისადმი მიდრეკილების ასახვის მოხერხებულ და ინფორმაციულ დიაგრამას წარმოადგენს და შესაბამისი ქულებით (ჯინის ინდექსი) კარგად განასხვავებს დაავადების მიმართ მაღალი და დაბალი მიდრეკილების მქონე სუბიექტებს.

აღნიშნული ჯინის ინდექსის საშუალებით ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა შფოთვის და დეპრესიის, როგორც რისკ ფაქტორების, პროგნოზული მნიშვნელობა CSU-ისა და AD-ის განვითარებაში; ანუ, როგორია შფოთვის და დეპრესიის თანაარსებობის პირობებში ამ დაავადებების მიმართ მიდრეკილ პოპულაციაში მათი რეალური გაჩენის ალბათობა. ჩატარებულმა კვლევამ გვანახა, რომ CSU-ისა და AD-ის მიმართ ყველაზე მაღალი მიდრეკილების (ჯინის კოეფიციენტის მიხედვით) მქონე პირების 50%-დან ჭინჭრის

ციება რეალურად აღინიშნება 77%-ში, ხოლო ყველაზე მაღალი მიდრეკილების მქონე 20%-დან კი - 45%-ში.

Gini index-ით (ჯინის კოეფიციენტის მიხედვით) დადგინდა, რომ ჩვენს მიერ კვლევადი პროგნოზული რისკ ფაქტორების ინტენსივობის განაწილება (შფოთვა და დეპრესია) ჯანმრთელებში, AD-ით და CSU-ით დაავადებულ პირებში შესაბამისად იყო 0.15, 0.23 და 0.36, რაც იმას ნიშნავს, რომ შფოთვა და დეპრესია განსაკუთრებული ინტენსივობით ვლინდებოდა შემდეგი თანმიმდევრობით: მაღალი - CSU (0.36), საშუალო - AD (0.23), და დაბალი - ჯანმრთელები (0.11). შესაბამისად, აღნიშნული რისკ ფაქტორების პროგნოზული ღირებულება განსაკუთრებით გამოიკვეთა CSU-ის დროს. რაც შეეხება ჯანმრთელ პირებსა და AD-ით დაავადებულებს, მათში შფოთვის და დეპრესიის „გაბნევა“ შედარებით თანაბარი იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ პირებში აღნიშნული რისკ ფაქტორების პროგნოზული მნიშვნელობა შედარებით დაბალია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ნაშრომში დადასტურდა დეპრესიისა და შფოთვის პროგნოზული მნიშვნელობა განსაკუთრებით CSU-ს განვითარებაში, ჩვენ ვერ შევძელით ზუსტად განგვესაზღვრა მიზეზობრივი კავშირის მიმართულება ამ ფსიქოპათოლოგიურ და კანის დაავადებებთან, რადგან ისინი შეიძლება დაკავშირებული იყოს მრავალსამედიცინო, ეკონომიკურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ნოზოლოგიებთან და ფაქტორებთან [144, 145, 146]. მაგალითად, განწყობის დარღვევა ასოცირდება ციტოკინებით გამოწვეულ ქრონიკულ ანთებასთან [147], ნეიროტრანსმიტერების აქტივობის ცვლილებებთან [148], ასევე იმუნური სისტემის ანომალიებთან. რა თქმა უნდა, არსებობის უფლება აქვს უფრო ალტერნატიულ ჰიპოთეზასაც, რომლის მიხედვითაც კანის დაავადებების გამოვლინებები იწვევს სოციალურ იზოლაციას და ამძიმებს პაციენტების მდგომარეობას.

ვინაიდან ადრინდელ პუბლიკაციებში გამოყენებული იყო სრულიად განსხვავებული პროგნოზული მეთოდები CSU-ის შფოთვისასთან და დეპრესიასთან [149, 150] კავშირის დასადგენად, ჩვენს კვლევას აქვს როგორც თეორიული, ასევე კლინიკური ღირებულება. კერძოდ: პირველად იქნა გამოყენებული ლორენცის გრაფიკული მეთოდი CSU-ის და AD-ის განვითარებაში შფოთვის და დეპრესიის, როგორც პროგნოზული რისკ

ფაქტორების შესასწავლად. ვფიქრობთ, რომ ამ კვლევის შედეგები შეიძლება სასარგებლო იყოს თანამედროვე კლინიკური მედიცინის სხვა მიმართულებებში მსგავსი პროგნოზული კვლევების ჩატარების თვალსაზრისით [151, 152]. გამოიკვეთა ასევე კანის სხვა დაავადებების და ფსიქიკური აშლილობების კომპლექსური შესწავლის პერსპექტივა.

5.1.4 მეოთხე კვლევის განხილვა

ამ კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა ძილის დარღვევების კავშირი ატოპიური დერმატიტისა და ქრონიკული სპონტანური ჭინჭრის ციების დროს და ამ სიმპტომის, როგორც რისკ ფაქტორის, პროგნოზული ღირებულება შფოთვისა და დეპრესიასთან ერთად, ამ ორი დაავადების შემთხვევაში.

ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში ბევრ ადამიანს აწუხებს ძილის დარღვევები, რომელიც ამავდროულად, ხშირად თან ახლავს ძალზე ბევრ, მათ შორის კანის ქრონიკულ დაავადებებს. ამ კვლევაში ჩვენ შევეცადეთ ასეთი ასოციაციის შეგვესწავლა ატოპიური დერმატიტსა და ქრონიკულ სპონტანურ ურტიკარიასთან მიმართებაში და დავადასტურეთ მისი შესაძლო არსებობა. თუმცადა, კვლევაში გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ ორივე ამ დაავადების შემთხვევაში პაციენტების დიდი უმრავლესობა, ქავილით მიმდინარე ამ ქრონიკული დაავადებების დროს, მათთვის შეთავაზებული მკურნალობის უკმაყოფილობის ფონზე, ხანგრძლივად და თვითნებურად ღებულობს ძილის მომგვრელ სხვადასხვა მედიკამენტებს (ანტიჰისტამინები, ანტიდეპრესანტები) [153, 154].

ჩვენმა კვლევამ დაადასტურა ასეთი ტენდენციის არსებობა და აღმოჩნდა, რომ საკვლევ ჯგუფებში ჩართული თითქმის ყველა პაციენტი გამუდმებით (მათ შორის კვლევის პროცესში) იღებდა ანტიჰისტამინურ, სედატიურ და ანტიდეპრესანტულ მედიკამენტებს, უპირველეს ყოვლისა, ქავილის და ძილის მოსაწესრიგებლად. ჩვენ შევადარეთ ეს ჯგუფები ერთმანეთს და საკონტროლო ჯგუფს და სხვა ავტორებისგან

განსხვავებით [155,156,157,158,159] შეუძლებელად მივიჩნიეთ მიღებული შედეგების ობიექტური ინტერპრეტაცია აღნიშნული პრეპარატების გამოყენების ფონზე. თუმცადა, სხვა ავტორების [160,161] მსგავსად დავადასტურეთ ის ფაქტი, რომ სპონტანური ურტიკარიის, განსაკუთრებით კი - ატოპიური დერმატიტის დროს სახეზეა ქავილის და ძილის დარღვევები.

თავი VI. დასკვნები

ნაშრომი ადასტურებს კანის ალერგიულ დაავადებებსა და ფსიქოპათოლოგიურ რეაქციებს შორის კავშირის არსებობას. ასეთი ალბათობა ეფუძნება ლიტერატურის მონაცემებს, რომლებიც მიუთითებს მჭიდრო კავშირზე ნეიროენდოკრინულ და იმუნურ სისტემებს შორის, რომლის ერთ-ერთ შემადგენელს კანი წარმოადგენს. ქავილით მიმდინარე კანის მრავალ დაავადებას შფოთვა, დეპრესია და ძილის დარღვევები ახასიათებს, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს როგორც მათ დაწყებამდე, ასევე მიმდინარეობის პროცესში. ასეთ დაავადებათა შორის ყველაზე აქტუალური ქრონიკული სპონტანური ურტიკარია და ატოპიური დერმატიტია. კანის ამ დაავადებებს და ფსიქოპათოლოგიურ რეაქციებს შორის ასოციაცია დაადასტურა ლოგისტიკურმა რეგრესიამ, რაც იმას ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ფსიქოპათოლოგიური რეაქციების გამოვლენას ურტიკარიისა და ატოპიური დერმატიტის დროს, შეიძლება ამ დაავადებათა პროგნოზირების მნიშვნელობა ჰქონდეს.

6.1 დასკვნა - კვლევა I

კვლევამ აჩვენა, რომ: ქრონიკული სპონტანური ჭინჭრის ციებით დაავადებულ პაციენტებში საკმაოდ ხშირია შფოთვა და დეპრესია; ეს ემოციური დისტრესი სავარაუდოდ დამოუკიდებელ გავლენას ახდენს ამ მდგომარეობათა მიმდინარეობაზე. CSU-ის და AD-ის დროს შფოთვა და დეპრესია თანაბარი სიხშირით გვხვდება ორივე

სქესის წარმომადგენლებში. CSU-ის დროს შფოთვა 1.6-ჯერ უფრო ხშირად ვლინდება ჯანმრთელ პირებთან შედარებით და ის უფრო ხშირია კაცებში, ვიდრე ქალებში. ამ დაავადების დროს ორივე სქესის წარმომადგენლებში შფოთვის განსაკუთრებით მაღალი პრევალენტობა 50-69 ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირდა. ჭინჭრის ციებით დაავადებული პაციენტები ჯანმრთელებისგან განსხვავებით ასევე უფრო ხშირად განიცდიან დეპრესიას, რომელიც უფრო ხშირია ქალებში. ორივე სქესის პაციენტებში დეპრესია ურო მეტად გამოხატული (ნაკლებად არასარწმუნო) იყო 30-49 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

CSU-სთან შფოთვისა და დეპრესიის თანარსებობის დროს ასევე ხშირად სახეზეა ინდუცირებადი ურტიკარია, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები, შაქრიანი დიაბეტი, სიმსუქნე და თამბაქოს მოწევა. დეპრესიისა და შფოთვის ჩართულობა ქრონიკული ურტიკარიის პათოგენეზში ჯერჯერობით კარგად არ არის გასაგები. CSU-ით დაავადებულ პაციენტებში შფოთვის და დეპრესიის თანარსებობის განსაზღვრას დიაგნოსტიკური და პროგნოზული მნიშვნელობა აქვს. ალერგოლოგების და დერმატოლოგების მიერ საჭიროა ყურადღების გამახვილება ამ ფსიქოლოგიურ აშლილობებზე CSU-ით დაავადებული პაციენტების მართვის დროს. მიზანშეწონილია დამატებითი რეპლიკაციური კვლევების ჩატარება ამ პათოლოგიებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გასარკვევად.

6.2 დასკვნა - კვლევა II

ამ კვლევამ აჩვენა, რომ დეპრესია და შფოთვა ასევე უფრო ხშირად ვლინდება ატოპიური დერმატიტით დაავადებულ პაციენტებში, ვიდრე ჯანმრთელებში. ეს ფსიქოლოგიური აშლილობები უფრო ხშირია 30-69 ასაკობრივ ჯგუფში. AD-ს ახასიათებს ისეთი კომორბიდული დაავადებების თანარსებობა, როგორცაა - ბრონქული ასთმა, ალერგიული რინიტი და ჭინჭრის ციება. დეპრესიისა და შფოთვის კავშირი ქრონიკულ AD-თან კარგად არ არის შესწავლილი. მომავალ კვლევებში რეკომენდებულია ატოპიურ დერმატიტსა და აღნიშნულ ფსიქიკურ აშლილობებს (დეპრესია და შფოთვა) შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების ჰიპოთეზების ტესტირება.

6.3 დასკვნა - კვლევა III

კვლევამ აჩვენა, რომ დეპრესია და შფოთვა შეიძლება განხილულ იქნეს ქრონიკული სპონტანური ჭინჭრის ციების და, ნაკლებად, ატოპიური დერმატიტის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორებად. აღნიშნული რისკ ფაქტორები განსაკუთრებით გამოიკვეთა ქრონიკული სპონტანური ურტიკარიის (CSU) და შედარებით ნაკლებად - AD-ის დროს, ჯანმრთელ პირებთან შედარებით. ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზით შესაძლებელია დაავადებათა რისკების პროგნოზული მნიშვნელობის შეფასება რისკის განაწილების კონცენტრაციის საშუალებით, ვინაიდან ის ასახავს დაავადების ალბათობას მის მიმართ მიდრეკილი პოლპულაციის იდეალურად მცირე ქვეჯგუფში. ლორენცის მრუდის და ჯინის კოეფიციენტის საშუალებით შესაძლებელია ავადობის რისკის კონცენტრაციის განსაზღვრა და ყველაზე მაღალი რისკის მქონე სუბიექტებში დაავადების გამოვლენის ალბათობის შეფასება. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მეტად CSU-ის, ნაკლებად კი - AD-ის პროგნოზირების და დიაგნოსტიკის მიზნით. ჩვენი აზრით, საჭიროა მსგავსი კვლევების ჩატრება ამ მიმართულებით ზოგიერთი საკამათო საკითხის შემდგომი დაზუსტების მიზნით.

6.4 დასკვნა - კვლევა IV

კვლევამ, დაადგინა, რომ AD-ის და CSU-ის მქონე პაციენტებში, მნიშვნელოვნად არის გამოხატული ქავილით განპირობებული ძილის დარღვევები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოხატულია ატოპიური დერმატიტის მქონე პაციენტებში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერ დავადასტურეთ ამ რისკ ფაქტორის გამოყენების სარგებლიანობა ამ დაავადებების პროგნოზირების თვალსაზრისით, ვინაიდან კვლევაში ჩართული სუბიექტები უკონტროლოდ იყენებდნენ მედიკამენტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ძილის პროცესზე. აღნიშნულის გამო ჩვენ ვერ ჩავატარეთ რეგრესიული ანალიზი ამ რისკ ფაქტორის გამოყენებით. მიგვაჩნია, რომ საჭიროა ამ მიმართულებით დამატებითი კვლევების ჩატრება.

თავი VII. კვლევის ძლიერი და სუსტი მხარეები

შფოთვის და დეპრესიის კვლევის დროს საერთო პრობლემაა ამ მდგომარეობების აღმოცენების, მიმდინარეობის და მექანიზმების ყოვლისმომცველი თეორიის არარსებობა.

ჩვენ გავიზიარეთ ერთ-ერთი „მიკრომოდელი“, რომელიც ალოსტაზის ჰიპოთეზითაა ცნობილი. რასაკვირველია, ყოველთვის უმჯობესია თუნდაც საკამათო მოდელის არსებობა, მის არარსებობასთან შედარებით.

დღეს ეს თეორიები დახვეწის ეტაპზეა და, სავარაუდოდ, ის მოიპოვებს ყოვლისმომცველი თეორიის სტატუსს, რომელიც ახსნის, თუ რა არის სტრესორი, რა წარმოადგენს სტრესზე პასუხს, დაბოლოს, როგორ და როდის იწყება, როგორ მიმდინარეობს ის და, რაც მთავარია, სასარგებლოა თუ საზიანო. ნათელია, რომ შფოთვას, დეპრესიას, ძილსა და ალერგიას შორის ასოციაციების შესასწავლად მულტიდისციპლინური მიდგომაა საჭირო. ასევე არსებობს გარკვეული შეზღუდვები კვლევისთვის. პირველ კვლევაში (ნაშრომები I და II) ჩვენ ჩავრთეთ ალერგიასთან დაკავშირებული იმუნური ზომების მრავალფეროვნება. თუმცა, ჩვენ არ ჩავრთეთ იმუნური უჯრედების ფუნქციური პარამეტრები, რომლებიც შეესაბამება ალერგიას, და არა მხოლოდ უჯრედების და ციტოკინების რაოდენობას. ამ ცვლილებების ბიოლოგიური მნიშვნელობა უცნობია. კვლევის დროს მონაწილეებში არ იყო გამოვლენილი სენსიბილიზაცია ალერგენ(ებ)ის მიმართ.

თავი VIII. კვლევის პრაქტიკული ღირებულება

მეცნიერული პრაქტიკული ღირებულება

- კვლევა განხორციელდა სრულიად ახალი მეთოდოლოგიური მიდგომით - გამოყენებული იქნა ლოგისტიკური და „Forest plot“ ანალიზები, რომლებიც ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების ამსახველ ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა გამოყენებული.
- კვლევას აქვს პრაქტიკური მეცნიერული მნიშვნელობა პროგნოზული მიმართულების კვლევების განხორციელების თვალსაზრისით. შრომაში გამოყენებული მეთოდები სასარგებლო იქნება სხვა მკვლევარებისთვის მათ პრაქტიკულ სამეცნიერო საქმიანობაში.

კლინიკური პრაქტიკული ღირებულება

- კვლევამ დაადასტურა, რომ შფოთვა და დეპრესია წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორებს ატოპიური დერმატიტისა და ქრონიკული სპონტანური ურტიკარიის განვითარებაში. შესაბამისად, მათ იდენტიფიცირებას და გათვალისწინებას ექიმის კლინიკურ საქმიანობაში აქვს მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური, სამკურნალო და პროფილაქტიკური ღირებულება ამ ორი მდგომარეობის წარმატებული მართვის თვალსაზრისით.

თავი IX. პრაქტიკული რეკომენდაციები

- ქრონიკული სპონტანური ურტიკარიითა და ატოპიური დერმატიტით დაავადებული პაციენტების წარმატებული დიაგნოსტიკისა და მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ექიმების მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენება პაციენტებში დეპრესიისა და შფოთვის იდენტიფიცირების მიზნით.
- განსაკუთრებულად ყურადსაღებია შფოთვისა და დეპრესიის თანაარსებობის გათვალისწინება ქრონიკული სპონტანური ურტიკარიის მქონე პაციენტთა მართვის დროს.
- „შეუპოვრად“ მიმდინარე, არაკონტროლირებადი ქრონიკული სპონტანური ურტიკარიის და ატოპიური დერმატიტის მართვის პროცესში მიზანშეწონილია ფსიქოლოგის და/ან ფსიქიატრის ჩართვა, რათა მკურნალობა იყოს კომპლექსური და, შესაბამისად, ეფექტური.
- ქრონიკული სპონტანური ურტიკარიითა და ატოპიური დერმატიტით დაავადებული პაციენტების წარმატებული დიაგნოსტიკისა და მართვის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექიმის მიერ ისეთი კომორბიდული დაავადებების გამოვლენა და მკურნალობა, როგორცაა ბრონქული ასთმა, ალერგიული რინიტი და სხვა ატოპიური პროფილის ალერგიული მდგომარეობები.
- რეკომენდებულია ჩატარდეს დამატებითი რეპლიკაციური (რეპროდუცირებადი) კვლევები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება დაზუსტდეს ქრონიკული სპონტანური ურტიკარიის და ატოპიური დერმატიტის

ურთიერთკავშირი შფოთვისა და დეპრესიას შორის ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზის გამოყენებით.

თავი X. გამოყენებული ლიტერატურა

1. Leung DYM, Eichenfield LF, Boguniewicz M. Atopic Dermatitis. In (Wolff K, Goldsmith LA, Katz SI et al., eds): Fitzpatrick 's Dermatology in General Medicine, Seventh ed., McGrawHill, New York, 2008: pp.146-58.
2. Yu JS, Lee CJ, Lee HS *et al.* Prevalence of atopic dermatitis in Korea: analysis by using national statistics. *J Korean Med Sci* 2012; **27**: 681-5.
3. King RM, Wilson GV. Use of a diary technique to investigate psychosomatic relations in atopic dermatitis. *J Psychosom Res* 1991; **35**: 697-706.
4. Williams HC, Burney PG, Pembroke AC *et al.* The U.K. Working Party's Diagnostic Criteria for Atopic Dermatitis. III. Independent hospital validation. *Br J Dermatol* 1994; **131**: 406-16.
5. Suarez AL, Feramisco JD, Koo J *et al.* Psychoneuroimmunology of psychological stress and atopic dermatitis: pathophysiologic and therapeutic updates. *Acta Derm Venereol* 2012; **92**: 7-15.
6. Buske-Kirschbaum A, Ebrecht M, Kern S *et al.* Personality characteristics in chronic and non-chronic allergic conditions. *Brain Behav Immun* 2008; **22**: 762-8.
7. Oh SH, Bae BG, Park CO *et al.* Association of stress with symptoms of atopic dermatitis. *Acta Derm Venereol* 2010; **90**: 582-8.
8. Boguniewicz M, Leung DY. Atopic dermatitis: a disease of altered skin barrier and immune dysregulation. *Immunol Rev* 2011; **242**: 233-46.
9. Elias PM, Wakefield JS. Mechanisms of abnormal lamellar body secretion and the dysfunctional skin barrier in patients with atopic dermatitis. *J Allergy Clin Immunol* 2014; **134**:781.

10. Feingold KR, Elias PM. Role of lipids in the formation and maintenance of the cutaneous permeability barrier. *Biochim Biophys Acta* 2014; 1841:280
11. Kuo IH, Yoshida T, De Benedetto A, Beck LA. The cutaneous innate immune response in patients with atopic dermatitis. *J Allergy Clin Immunol* 2013; 131:266
12. Feingold KR, Elias PM. Role of lipids in the formation and maintenance of the cutaneous permeability barrier. *Biochim Biophys Acta* 2014; 1841:280
13. Zuberbier T, Asero R, Bindslev-Jensen C, Walter CG, Church MK, Gimenez-Arnau A et al. EAACI/GA(2)LEN/EDF/WAO guideline: definition, classification and diagnosis of urticaria. *Allergy* 2009; 64:1417–1426.
14. Zuberbier T, Asero R, Bindslev-Jensen C, Walter CG, Church MK, Gimenez-Arnau AM et al. EAACI/GA(2)LEN/EDF/WAO guideline: management of urticaria. *Allergy* 2009; 64:1427–1443.
15. Augey F, Gunera-Saad N, Bensaid B, Nosbaum A, Berard F, Nicolas JF. Chronic spontaneous urticaria is not an allergic disease. *Eur J Dermatol* 2011; 21:349–353.
16. Ben-Shoshan M, Clarke A, Raz A. Psychosocial factors and the pathogenesis of chronic hives: a survey of Canadian physicians. *J Allergy Therapy* 2012; 3:00–00.
17. Ferrer M. Epidemiology, healthcare, resources, use and clinical features of different types of urticaria. *Alergologica* 2005. *J Investig Allergol Clin Immunol* 2009; 19(Suppl 2):21–26
18. Ben-Shoshan M, Clarke A, Raz A. Psychosocial factors and the pathogenesis of chronic hives: a survey of Canadian physicians. *J Allergy Therapy* 2012; 3:00–00.
19. Buffet M. Management of psychologic factors in chronic urticaria. When and how? *Ann Dermatol Venereol* 2003; 130 Spec No 1:1S145–1S159.
20. Walter CG, Church MK, Gimenez-Arnau AM et al. EAACI/GA(2)LEN/EDF/WAO guideline: management of urticaria. *Allergy* 2009; 64:1427–1443.
21. Zuberbier T, Aberer W, Asero R, et al. The EAACI/GA²LEN/EDF/WAO guideline for the definition, classification, diagnosis and management of urticaria. *Allergy* 2018; 73:1393.

22. Kaplan AP. Chronic urticaria: pathogenesis and treatment. *J Allergy Clin Immunol* 2004; 114:465.
23. Doong JC, Chichester K, Oliver ET, et al. Chronic Idiopathic Urticaria: Systemic Complaints and Their Relationship with Disease and Immune Measures. *J Allergy Clin Immunol Pract* 2017; 5:1314.
24. Sabroe RA, Seed PT, Francis DM, et al. Chronic idiopathic urticaria: comparison of the clinical features of patients with and without anti-FcepsilonRI or anti-IgE autoantibodies. *J Am Acad Dermatol* 1999; 40:443.
25. Hunkin V, Chung MC. Chronic idiopathic urticaria, psychological co-morbidity and posttraumatic stress: the impact of alexithymia and repression. *Psychiatr Q* 2012; 83:431.
26. Staubach P, Dechene M, Metz M, et al. High prevalence of mental disorders and emotional distress in patients with chronic spontaneous urticaria. *Acta Derm Venereol* 2011; 91:557.
27. Chung MC, Symons C, Gilliam J, Kaminski ER. The relationship between posttraumatic stress disorder, psychiatric comorbidity, and personality traits among patients with chronic idiopathic urticaria. *Compr Psychiatry* 2010; 51:55.
28. Malhotra SK, Mehta V. Role of stressful life events in induction or exacerbation of psoriasis and chronic urticaria. *Indian J Dermatol Venereol Leprol* 2008; 74:594.
29. Kimyai-Asadi A, Usman A. The role of psychological stress in skin disease. *J Cutan Med Surg* 2001; 5:140.
30. Ozkan M, Oflaz SB, Kocaman N, et al. Psychiatric morbidity and quality of life in patients with chronic idiopathic urticaria. *Ann Allergy Asthma Immunol* 2007; 99:29.
31. Chung MC, Symons C, Gilliam J, Kaminski ER. Stress, psychiatric co-morbidity and coping in patients with chronic idiopathic urticaria. *Psychol Health* 2010; 25:477.
32. Hergüner S, Kiliç G, Karakoç S, et al. Levels of depression, anxiety and behavioural problems and frequency of psychiatric disorders in children with chronic idiopathic urticaria. *Br J Dermatol* 2011; 164:1342.
33. Ben-Shoshan M, Blinderman I, Raz A. Psychosocial factors and chronic spontaneous urticaria: a systematic review. *Allergy* 2013; 68:131.

34. Vonakis BM, Saini SS. New concepts in chronic urticaria. *Curr Opin Immunol* 2008; 20:709
35. Grattan CE, Wallington TB, Warin RP, et al. A serological mediator in chronic idiopathic urticaria--a clinical, immunological and histological evaluation. *Br J Dermatol* 1986; 114:583.
36. Mari A. Allergy-like asthma and rhinitis. A cross-sectional survey of a respiratory cohort and a diagnostic approach using the autologous serum skin test. *Int Arch Allergy Immunol* 2004; 133:29.
37. Guttman-Yassky E, Bergman R, Maor C, et al. The autologous serum skin test in a cohort of chronic idiopathic urticaria patients compared to respiratory allergy patients and healthy individuals. *J Eur Acad Dermatol Venereol* 2007; 21:35.
38. Taskapan O, Kutlu A, Karabudak O. Evaluation of autologous serum skin test results in patients with chronic idiopathic urticaria, allergic/non-allergic asthma or rhinitis and healthy people. *Clin Exp Dermatol* 2008; 33:754.
39. Ventura MT, Napolitano S, Menga R, et al. Anisakis simplex hypersensitivity is associated with chronic urticaria in endemic areas. *Int Arch Allergy Immunol* 2013; 160:297.
40. Liutu M, Kalimo K, Uksila J, Kalimo H. Etiologic aspects of chronic urticaria. *Int J Dermatol* 1998; 37:515.
